ПРОЛЕТАРЕБО ЭГЕЛА ГВЕЦЕНИСА, ШУРТДИТ!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 79 (12591)

ოთხშაბათი, 3 აპრილი, 1963 წ.

ფასი 2 კაპ.

„მთვარე-4“ მიფრინავს მთვარისაკენ

საკვლევის ანოტაცია

კოსმოსური სივრცისა და მზის სისტემის პლანეტების კვლევის პროგრამის შესაბამისად 1963 წლის 2 აპრილს საბჭოთა კავშირში გამგზავნილია კოსმოსური რაკეტა მთვარისაკენ.

რაკეტის უკანასკნელი საფეხური წინასწარ იყო გაყვანილი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის შუალედურ ორბიტაზე, ხოლო შემდეგ სტარტი აიღო და გავიდა მოძრაობის გათვალისწინებულ ტრაექტორიაზე.

კოსმოსურ რაკეტაში დადგმულია 1422 კილოგრამი წონის ავტომატური სადგური „მთვარე-4“. ავტომატური სადგური „მთვარე-4“ მთვარის რაიონს მიაღწევს სამნახევარი დღე-ღამის შემდეგ.

ავტომატურ სადგურში დადგმული მთელი აპარატურა ნორმალურად მუშაობს.

სადგურის ფრენისადმი დაკვირვებას, მისი ტრაექტორიის პარამეტრების განსაზღვრას, სამეცნიერო ინფორმაციის მიღებას დედამიწაზე ახორციელებს სპეციალური საზომი კომპლექსი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

ამჟამად დამუშავებული შედეგების თანახმად, ავტომატური სადგურის მოძრაობა წარმოებს ტრაექტორიით, რომელიც უახლოვდება გათვალისწინებულს.

1963 წლის 2 აპრილს 16 საათზე მოსკოვის დროით - სადგური დედამიწიდან 50.486 კილომეტრ მანძილზე იყო დედამიწის ზედაპირის იმ პუნქტის თავზე, რომლის კოორდინატებია აღმოსავლეთ გრძედის 122 გრადუსი და 37 მინუტი და ჩრდილოეთ განედის 38 გრადუსი და 56 მინუტი.

შემდეგი ცნობა ავტომატური სადგურის „მთვარე-4“-ის ფრენის შესახებ გადმოცემულ იქნება 3 აპრილს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილი

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ჩვენს წინადადებებს იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც მიზნად ისახავენ კომუნისტური მოძრაობის რიგების ერთიანობისა და შეკავშირების განტკიცებას, დადებითად გამოეხმაურა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. ჩვენ მივესალმებით იმას, რომ თქვენ თანახმა ხართ მოეწყოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა შეხვედრა. ასეთი შეხვედრა მოწოდებულია დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მომმე პარტიებს შორის ურთიერთობაში ხელსაყრელი ატმოსფეროს შექმნის საქმეში, უკანასკნელ ხანს საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში წარმოქმნილ უთანხმოებათა მოწესრიგებაში. გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ ასეთი შეხვედრის შედეგად შეეძლებდით განგვეხორციელებინა მთელი რიგი კონსტრუქციული ღონისძიებანი არსებულ სიძნელეთა დასაძლევად.

თავის წერილში ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი იწვევს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს ჩავიდეს პეკინს იმ დროს, როცა კამბოჯაში გაემგზავრება. სკკპ ცენტრალური კომიტეტი და ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი მადლობას გამოთქვამენ ამ მიწვევისათვის. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი დიდი სიამოვნებით ეწვეოდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, შეხვდებოდა ჩინეთის კომპარტიის ხელმძღვანელებს, რათა გაეზიარებინა აზრები საერთაშორისო მდგომარეობისა და კომუნისტური მოძრაობის მომწიფებული საკითხებზე იმ მიზნით, რომ მიღწეულ იქნას ჩვენი ამოცანების საერთო გაგება და განმტკიცდეს შეკავშირება ჩვენს პარტიებს შორის. მაგრამ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრება კამბოჯაში, რაზეც თქვენს წერილში ლაპარაკობთ, დაგეგმილი არ არის. როგორც ცნობილია, ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებით, რომელიც მიღებულია ჯერ კიდევ ა. წ. 12 თებერვალს, კამბოჯაში გაემგზავრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, რაც უკვე ეცნობა კამბოჯის მთავრობას და გამოცხადდა პრესაში. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომელიც სამჯერ ეწვია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას, არ კარგავს იმედს, რომ მომავალში გამოიყენებს თქვენს თავაზიან მიწვევას — ესტუმროს ჩინეთს და შეხვდეს ჩინელ ამხანაგებს.

გვაგონდება, რომ ამხანაგ მაო ძე-დუნის მოსკოვში ყოფნის დროს 1957 წელს მან თქვა, რომ მხოლოდ ორჯერ იყო სსრ კავშირში და ეწვია მარტო მოსკოვსა და ლენინგრადს. იგი სურვილს გამოთქვამდა კიდევ ჩამოსულიყო საბჭოთა კავშირში, რათა უკეთ გასცნობოდა ჩვენს ქვეყანას. იგი მაშინ ამბობდა, რომ სურს გაიაროს ჩვენი ქვეყანა შორეული აღმოსავლეთის საზღვრებიდან დასავლეთ საზღვრებამდე და ჩრდილოეთი საზღვრებიდან სამხრეთ საზღვრებამდე. ჩვენ მივესალმეთ ამხანაგ მაო ძე-დუნის ამ სურვილს.

1960 წლის 12 მაისს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გაუგზავნა ამხანაგ მაო ძე-დუნს წერილი და მოიწვია ჩამოსულიყო სსრ კავშირში დასასვენებლად და საბჭოთა ხალხის ცხოვრების გასაცნობად. სამწუხაროდ, ამხანაგმა მაო ძე-დუნმა იმ დროს ვერ შეძლო ესარგებლა ჩვენი მოწვევით. სკკპ ცენტრალური კომიტეტი მიესალმებოდა ამხანაგ მაო ძე-დუნის ვიზიტს. საუკეთესო დრო ასეთი ვიზიტისათვის იქნებოდა წლევანდელი გაზაფხული ან ზაფხული — წლის კარგი პერიოდი ჩვენს ქვეყანაში. ჩვენ მზად ვართ ღირსეულად მივიღოთ ამხანაგი მაო ძე-დუნი, როგორც წარმომადგენელი მომმე პარტიის და მომმე ჩინელი ხალხისა, ყოველ სხვა დროსაც. ჩვენს ქვეყანაში ამ მოგზაურობის დროს ამხანაგი მაო ძე-დუნი, რასაკვირველია, მარტო არ იქნებოდა. მასთან ერთად იქნებოდნენ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ამხანაგები და გვექნებოდა კარგი შესაძლებლობა ერთმანეთისათვის გაგვეზიარებინა აზრები სხვადასხვა საკითხებზე. ამხანაგი მაო ძე-დუნი ნახავდა, თუ როგორ შრომობს საბჭოთა ხალხი, რა წარმატებანი მოიპოვა მან კომუნიზმის მშენებლობაში, ჩვენი პარტიის პროგრამის განხორციელებაში.

თუ ამხანაგ მაო ძე-დუნის ჩამოსვლა მოსკოვში ამჟამად არ შეიძლება მოხდეს, ჩვენ მზად ვართ მივიღოთ თქვენი მოსაზრებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლების შეხვედრის შესახებ მოსკოვში მაღალ დონეზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი შეხვედრა შეიძლება მოეწყოს დაახლოებით 1963 წლის 15 მაისს, თუ ეს ვადა მისაღებია თქვენთვის.

ჩვენ ფრიად გვახარებს ის, რომ ჩინელ ამხანაგებს ისევე, როგორც ჩვენ, ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა მომავალი შეხვედრა მიაჩნიათ ერთ-ერთ „საჭირო ნაბიჯად ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის მოწვევის მომზადებაში“. მართლაც, ასეთმა შეხვედრამ, რომელიც არ დაარღვევს თანასწორუფლებიანობის პრინციპს და არ შელახავს სხვა მომმე პარტიების ინტერესებს, ხელი უნდა შეუწყოს თათბირის უკეთ მომზადებასა და განხორციელებას. თუ არ გაიმართა ასეთი შეხვედრა, ისევე როგორც თუ არ შეწყდება პოლემიკა პრესაში, თუ არ შეწყდა სხვა მომმე პარტიების კრიტიკა პარტიებს შიგნით, ისე თათბირის მომზადება და მთავარი მიზნის მიღწევა — საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცება — გაძნელდებოდა. სწორედ ამიტომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, იწონებდა რა ვიეტნამელ, ინდონეზიელ, ინგლისელ, შვედ და სხვა ამხანაგთა წინადადებებს, რომლებიც მათ 1962 წლის დამდეგს წამოაყენეს, ყველა ქვეყნის მომმე პარტიათა თათბირის მოწვევის შესახებ, ამავე დროს ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საჭიროა განხორციელდეს ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც ხელსაყრელ ვითარებას შექმნიდნენ მსოფლიო კომუნისტური ფორუმის მუშაობისათვის...

ჯერ კიდევ თავის 1962 წლის 22 თებერვლის წერილში სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებდა „შევწყვიტოთ ზედმეტი დავა იმ საკითხებზე, რომლებიც სხვადასხვანაირად გვესმის, უარი ვთქვათ საჯარო გამოსვლებსა და განცხადებებზე, რომლებსაც შეუძლიათ კი არ შეანელონ, არამედ მხოლოდ გაარღვიონ ჩვენი აზრთა სხვადასხვაობა“. ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისათვის გაგზავნილ წერილში 1962 წლის 31 მაისს ჩვენ ვწერდით: „როგორც კარგად მოგეხსენებათ, ჩვენი პარტია ყოველთვის მოითხოვდა და ახლაც მოითხოვს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ძირეული პრობლემების კოლექტიურ განხილვას. სკკპ ცენტრალური კომიტეტი იყო ინიციატორი მომმე პაოტიათა 1957 და 1960 წლების თათბირებისა. ორივე შემთხვევაში ეს თათბირები დაკავშირებული იყო საერთაშორისო ვითარების სერიოზულ ცვლილებებთან და იმასთან, რომ საჭიროა კომუნისტური მოძრაობის შესაბამისი ტაქტიკის შემუშავება. ჩვენ ამჯერადაც სავსებით ვუჭერთ მხარს წინადადებას — მოწვეულ იქნას ყველა მომმე პარტიის თათბირი“.

ჩვენ სასარგებლოდ მიგვაჩნდა, რომ ასეთი თათბირისათვის მომზადების წესით მომმე პარტიები შეძლებდნენ ღრმად და ყოველმხრივ გაეკეთებინათ ანალიზი საერთაშორისო ცხოვრების ახალი მოვლენებისათვის, თავიანთი საქმიანობისათვის ჩვენი მოძრაობის კოლექტიურ გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად. სკკპ ცენტრალური კომიტეტი იჩენდა ყველა კომუნისტისათვის სავსებით გასაგებ ზრუნვას იმისათვის, რომ თათბირს კი არ გაეღრმავებინა წარმოქმნილი უთანხმოებანი, არამედ მაქსიმალურად შეეწყო ხელი მათი დაძლევისათვის.

მომმე პარტიების ბევრი ხელმძღვანელი მოდავწის გამოსვლებში უკანასკნელ დროს სამართლიანად გამოითქვა ანალოგიური თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ საჭიროა თათბირამდე გადაიდგას მთელი რიგი ნაბიჯები, რომელთა შედეგად შეიქმნებოდა ნორმალური ვითარება კომუნისტურ მოძრაობაში, აზრთა ბრძოლა კი ჩაყენებული იქნებოდა პარტიული ამხანაგური დისკუსიის დასაშვებ ფარგლებში. ახლა, როგორც ეს თქვენი წერილიდან ჩანს, თქვენც ეთანხმებით ამას და შეიძლება ვიფიქროთ, რომ მიღწეულია ერთგვარი ძვრა მომავალი თათბირის მომზადების საქმეში.

რასაკვირველია, როცა ჩვენი ორი პარტია განიხილავს საკითხებს, რომლებიც ყველა მომმე პარტიას ეხება, ეს განხილვა შეიძლება იყოს მხოლოდ წინასწარი ხასიათისა. 1957 და 1960 წლების თათბირებმა ცხადყვეს, რომ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გეზის შემუშავება წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მოიტანს, თუ მასში კოლექტიურ მონაწილეობას იღებს ყველა მომმე პარტია და თუ ჯეროვნად არის გათვალისწინებული ყველა მისი რაზმის ყოველმხრივი გამოცდილება.

ჩვენ ყურადღებით გავეცანით თქვენს მოსაზრებებს იმ საკითხების შესახებ, რომლებიც შეიძლება ყოფილიყო განხილვის საგანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა შეხვედრის დროს. ეს დიდმნიშვნელოვანი საკითხებია და ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ ისინი.

თავის მხრივ ამ წერილში ჩვენ აგრეთვე გვინდა შევეხოთ ზოგიერთ პრინციპულ საკითხს, რომლებიც, ჩვენი აზრით, მომმე პარტიების ყურადღების, ჩვენი საერთო საქმისათვის მათი ბრძოლის ცენტრშია. საქმე, რასაკვირველია, არ ეხება ამ საკითხებზე ჩვენს შეხედულებათა ამომწურავ ჩამოყალიბებას. ჩვენ განზრახული გვაქვს აღვნიშნოთ მხოლოდ ის პრინციპულად დიდმნიშვნელოვანი, რითაც ვხელმძღვანელობთ ჩვენი პოლიტიკის განხორციელების დროს მსოფლიო ასპარეზზე, ჩვენს ურთიერთობაში მომმე პარტიებთან.

ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი შეხედულებების ასეთი ჩამოყალიბება საშუალებას მოგვცემს გამოვყოთ საკითხები, რომლებიც მოითხოვენ აზრთა ურთიერთგაზიარებას ორმხრივი შეხვედრის დროს, და ხელს შეუწყობს არსებულ უთანხმოებათა დაძლევას. ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ერთხელ კიდევ გავუსვათ ხაზი ჩვენს მტკიცე გადაწყვეტილებას — ურყევად და თანმიმდევრულად დავიცვათ მთელი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის იდეური პლატფორმა, მისი საერთო გეზი, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა დეკლარაციასა და განცხადებაში.

განცხადების მიღების შემდეგ განვლილი დროის მანძილზე ცხოვრებამ არათუ არ გაბათილა ერთი მისი ძირითადი დასკვნა, არამედ, პირიქით, სავსებით დაადასტურა, რომ სწორია მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის კურსი, რომელიც შემუშავებულია თანამედროვე გამოცდილების განზოგადებისა და მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ემყარება იმას, რომ ჩვენი ეპოქა, რომლის ძირითადი შინაარსია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, რაც დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დაიწყო, არის ორი მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი სისტემის ბრძოლის ეპოქა, სოციალისტური რევოლუციებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ეპოქა, იმპერიალიზმის მსხვრევის, კოლონიური სისტემის მოსპობის ეპოქა, სულ ახალი ხალხების სოციალიზმის გზაზე გადასვლის, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვების ეპოქა.

მსოფლიოში შექმნილმა ვითარებამ, საერთაშორისო ასპარეზზე კლასობრივი ძალების განლაგების ცვლილებებმა, რომლებმაც ახალი შესაძლებლობანი შეუქმნეს ჩვენს მოძრაობას, მოითხოვეს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გენერალური ხაზის შემუშავება, რომელიც შეესაბამება მის ძირეულ ამოცანებს თანამედროვე ეტაპზე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოციალიზმის გზას დაადგნენ ევროპის მთელი რიგი ქვეყნები, სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა ჩინეთში და აზიის სხვა ქვეყნებში, შეიქმნა მსოფლიო სოციალისტური სისტემა. ახალი წყობილება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში განმტკიცდა და შეძლო უზრუნველეყო სწრაფი ტემპები ამ ქვეყნების ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისა სოციალიზმის გზაზე. სოციალისტური თანამეგობრობა მჭიდროდ შეკავშირდა პოლიტიკური და სამხედრო თვალსაზრისით. საბჭოთა კავშირისა და სხვა მომმე ქვეყნების მიღწევათა მეოხებით ძალთა თანაფარდობა მსოფლიოში არსებითად შეიცვალა სოციალიზმის სასარგებლოდ, იმპერიალიზმის საზიანოდ. ამაში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ატომურ-წყალბადის იარაღზე ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლიის ლიკვიდაციამ და საბჭოთა კავშირის მიერ მძლავრი სამხედრო პოტენციალის შექმნამ.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა საერთაშორისო მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა ისტორიული მონაპოვარია. ეს სისტემა ნამდვილი განსახიერებაა კაცობრიობის ოცნებისა ახალი საზოგადოების შესახებ. წარმოების ზრდის, მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი მიღწევების შედეგად სოციალიზმის ქვეყნებში შეიქმნა სოციალისტური თანამეგობრობის ისეთი ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერება, რომელიც არა მარტო საამედოდ იცავს სოციალიზმის მონაპოვრებს, არამედ მთელი დედამიწის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მძლავრი ბურჯიც არის.

ძალთა თანაფარდობის ძირეული შეცვლა დაკავშირებულია აგრეთვე კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომ გაღრმავებასთან, ყველა მისი წინააღმდეგობის გამწვავებასთან. მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შეიცვალა ძალთა განლაგება იმპერიალისტური ბანაკის შიგნით. იმპერიალიზმის ეკონომიური ცენტრის შემდეგ მისმა პოლიტიკურმა და სამხედრო ცენტრებმა ევროპიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაინაცვლეს. ამერიკის შეერთებული შტატების მონოპოლისტური ბურჟუაზია გახდა საერთაშორისო რეაქციის მთავარი დასაყრდენი. მან იკისრა კაპიტალიზმის მხსნელის როლი. ამერიკის იმპერიალიზმი ახლა ასრულებს საერთაშორისო ჟანდარმის ფუნქციებს. იყენებს რა სამხედრო ბლოკების პოლიტიკას, ამერიკის იმპერიალიზმი ცდილობს თავის ბატონობას დაუმორჩილოს სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოები. ეს იწვევს იმას, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს წინააღმდეგობას უწევენ საფრანგეთი, დასავლეთი გერმანია, იაპონია და სხვა დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოები. მსოფლიო ომში დაზარალებული კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის აღდგენა და ძათი განვითარების უფრო სწრაფი ტემპები, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, აძლიერებს ევროპის მთელი რიგი ქვეყნების იმ მისწრაფებას, რომ თავი დააღწიონ ამერიკის დიქტატს. ყოველივე ეს იწვევს იმპერიალისტური მეტოქეობისა და კონფლიქტების არსებული კვანძების გაღრმავებას და ახალი კვანძების წარმოქმნას, რაც ასუსტებს მთლიანად კაპიტალიზმის სისტემას.

იმპერიალიზმის ანტიხალხური და მტაცებლური არსი არ შეცვლილა, მაგრამ მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნის შედეგად, მისი ეკონომიური და სამხედრო ძლიერების ზრდის შედეგად შესაძლებელია მცირდება იმპერიალიზმის ის შესაძლებლობანი, რომ გავლენას ახდენდეს ისტორიული პროცესის მსვლელობაზე, ხოლო ამასთან ერთად იცვლება ფორმები და მეთოდები მისი ბრძოლისა სოციალისტური ქვეყნების, მსოფლიო რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. იმპერიალისტებს ამინებთ სოციალიზმისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების სწრაფი ზრდა, ისინი აერთიანებენ თავიანთ ძალებს, გამალებით ახორციელებენ ღონისძიებებს, რათა კვლავაც იბრძოლონ თავიანთი ექსპლოატატორული მიზნებისათვის, და ყველგან ცდილობენ ძირი გამოუთხარონ სოციალისტური ქვეყნებისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პოზიციებს, შეასუსტონ მათი გავლენა.

სავსებით ცხადია, რომ ადამიანთა საზოგადოების ისტორიული განვითარების მთავარ შინაარსსა და მთავარ მიმართულებას თანამედროვე ეპოქაში განსაზღვრავს უკვე არა იმპერიალიზმი, არამედ მსოფლიო სოციალისტური სისტემა, მთელი პროგრესული ძალები, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნისათვის. წინააღმდეგობა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის ჩვენი ეპოქის მთავარი წინააღმდეგობაა. იმაზე, თუ როგორ დამთავრდება ორი მსოფლიო სისტემის ბრძოლა, გადამწყვეტად დამოკიდებულია მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბედი. ამასთან ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე განუხრელად იცვლება სოციალიზმის სასარგებლოდ.

უდიდესი მნიშვნელობა კაცობრიობის ისტორიული განვითარების ბედისათვის აქვს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლას თავიანთი ეროვნული და სოციალური განთავისუფლებისათვის და უკვე აქ მოპოვებულ წარმატებებს, კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასის, ყველა მშრომელის მზარდ ბრძოლას მონოპოლიების წინააღმდეგ, ყოველგვარი ექსპლოატაციის წინააღმდეგ, სოციალური პროგრესისათვის. სოციალისტური რევოლუციები, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ანტიიმპერიალისტური, ანტიკოლონიური რევოლუციები, სახალხო დემოკრატიული რევოლუციები, გლეხთა ფართო მოძრაობანი, ხალხთა მასების ბრძოლა ფაშისტური და სხვა ტირანიული რეჟიმების დამხობისათვის, საერთო-დემოკრატიული მოძრაობანი ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ — ყოველივე ეს ჩვენს დროში ერთიანდება ერთ მსოფლიო რევოლუციურ ნაკადად, რომელიც ძირს უთხრის და ანგრევს კაპიტალიზმს.

როცა ამუშავებდა თავის კურსს ახალი პირობების მიხედვით, მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობას არ შეეძლო არ გაეთვალისწინებინა მთელი სერიოზულობით ისეთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი, როგორიც არის ომის წარმოების სამხედრო-ტექნიკურ საშუალებათა ძირეული თვისებრივი ცვლილება, რაც დაკავშირებულია უმაგალითო გამანადგურებელი ძალის მქონე თერმოატომური იარაღის შექმნასა და დაგროვებასთან. მანამდე, სანამ არ განხორციელდება განიარაღება, სოციალისტური თანამეგობრობა მუდამ უნდა სჯობნიდეს იმპერიალისტებს თავისი შეიარაღებული ძალებით. ჩვენ ვაიძულებთ იმპერიალისტებს ახსოვდეთ, რომ თუ გაჩაღებენ ომს, რათა იარაღის ძალით გადაჭრან საკითხი — რა გზით უნდა განვითარდეს კაცობრიობა — კაპიტალიზმის გზით თუ სოციალიზმის გზით, — ეს იქნება უკანასკნელი ომი, რომელშიც იმპერიალიზმი საბოლოოდ განადგურდება.

თანამედროვე პირობებში მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ყველა მებრძოლის მოვალეობა ის არის, რომ მაქსიმალურად გამოიყენონ ხელსაყრელი შესაძლებლობანი სოციალიზმის გამარჯვებისათვის, არ დაუშვან, რომ იმპერიალიზმმა გააჩაღოს მსოფლიო ომი.

მსოფლიო ასპარეზზე კლასობრივ ძალთა განლაგების სწორმა ანალიზმა და სწორმა მარქსისტულ-ლენინურმა კურსმა, რომელიც შეიმუშავეს მოსკოვის თათბირებმა, საშუალება მისცეს მომმე პარტიებს სერიოზული წარმატებები მოეპოვებინათ მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარებაში, ხელი შეუწყეს კლასობრივი რევოლუციური ბრძოლის გაშლას კაპიტალისტურ ქვეყნებში და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

სოციალისტური სისტემა სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენს მსოფლიო განვითარების მსვლელობაზე. მთელი მსოფლიო რევოლუციური პროცესი ახლა ვითარდება სოციალიზმის ქვეყნებში შექმნილი ახალი ცხოვრების მაგალითის დიადი ძალის უშუალო ზემოქმედებით. კომუნიზმის იდეები მით უფრო წარმატებით ეუფლება ხალხთა ფართო მასების გონებასა და გულს, რაც უფრო მნიშვნელოვანი და დიდია ჩვენი მიღწევები სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში. ამიტომ გასაგებია, რომ ის, ვისაც სურს მოაახლოოს სოციალიზმის გამარჯვება მთელ მსოფლიოში, უწინარეს ყოვლისა უნდა ზრუნავდეს დიადი სოციალისტური თანამეგობრობის, მისი ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის. უნდა ამაღლებდეს თავისი ხალხების ცხოვრების დონეს, ავითარებდეს მეცნიერებას, ტექნიკასა და კულტურას, იბრძოდეს ამ თანამეგობრობის, ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებისათვის, ზრდიდეს მის საერთაშორისო ავტორიტეტს. მოსკოვის თათბირის განცხადება სოციალისტური ქვეყნების მარქსისტულ-ლენინურ პარტიებსა და ხალხებს აკისრებს პასუხისმგებლობას საერთაშორისო მუშათა მოძრაობის წინაშე სოციალიზმისა და კომუნიზმის წარმატებით მშენებლობისათვის.

დაუცხრომლად განამტკიცებენ რა მსოფლიო სოციალისტურ სისტემას, ჩვენი ქვეყნების მომმე პარტიებსა და ხალხებს თავიანთი წვლილი შეაქვთ საერთაშორისო მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა, მთელი განმათავისუფლებელი მოძრაობის ბრძოლის დიად საქმეში. იმისათვის ბრძოლაში, რომ თანამედროვეობის ძირეული პრობლემები გადაიჭრას მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის.

მსოფლიო ასპარეზზე ძალთა ახლანდელმა თანაფარდობამ შესაძლებლობა მისცა სოციალისტურ ქვეყნებს მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად ისტორიაში პირველად დასახონ სავსებით რეალურ ამოცანად — თავიდან აიცილონ ახალი მსოფლიო ომი, უზრუნველყონ ხალხთა მშვიდობა და უშიშროება.

განცხადების მიღების შემდეგ განვლილმა წლებმა სავსებით დაადასტურა ამ დებულების სისწორე. აგრესიულმა ძალებმა რომ ვერ შეძლეს გამანადგურებელი თერმოატომური ომის უფსკრულში გადაეჩეხათ კაცობრიობა, ეს უმნიშვნელოვანესი შედეგია სოციალისტური ქვეყნების ძლიერების განმტკიცებისა, იმისა, რომ ეს ქვეყნები განუხრელად ახორციელებენ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელიც სულ უფრო მეტ აღიარებას პოულობს, რომელსაც მხარს უჭერს ასეულ მილიონობით ადამიანი და რომელიც იმარჯვებს აგრესიისა და ომის იმპერიალისტურ პოლიტიკაზე.

მარქსისტთაგან არავის არ ეპარება ეჭვი, რომ იმპერიალიზმი, რომელიც ზედიზედ კარგავს პოზიციებს, ცდილობს ყოველი საშუალებით შეინარჩუნოს თავისი ბატონობა ხალხებზე, დაიბრუნოს დაკარგული პოზიციები. ახლა წარმოებს ისტორიაში ყველაზე დიდი საერთაშორისო შეთანხმება იმპერიალისტებისა სოციალიზმის ქვეყნების და მსოფლიო განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, არა გვაქვს გარანტია, რომ იმპერიალისტები არ შეეცდებიან ატეხონ მსოფლიო ომი. კომუნისტები ამ საშიშროებას ნათლად უნდა ხედავდნენ.

მაგრამ აგრესორის მდგომარეობა თანამედროვე პირობებში ძირეულად განსხვავდება იმ პირობებისაგან, როგორიც ჰქონდა მას მეორე და მით უმეტეს პირველი მსოფლიო ომის წინ. წინათ ომები ჩვეულებრივ იმით მთავრდებოდა, რომ ერთი კაპიტალისტური ქვეყანა ამარცხებდა სხვა ქვეყანას, მაგრამ დამარცხებულნი განაგრძობდნენ ცხოვრებას, რამდენიმე ხნის შემდეგ აღადგენდნენ თავიანთ ძალებს და უნარიც კი შესწევდათ კვლავ გაეჩაღებინათ აგრესია, როგორც ამას მოწმობს, კერძოდ, გერმანიის მაგალითი. თერმოატომური ომი ასეთ პერსპექტივას არ უსახავს არც ერთ აგრესორს, და ამას არ შეიძლება ანგარიშს არ უწევდნენ იმპერიალისტები. სპასუხო დარტყმის შიში, სამაგიეროს მიზღვის შიში აკავებს მათ, რომ არ ატეხონ მსოფლიო ომი. სოციალისტური თანამეგობრობა იმდენად განმტკიცდა, რომ იმპერიალიზმი ველარ მოახვევს თავს ხალხებს თავის პირობებს და ვერ უკარნახებს თავის ნებას, როგორც წინათ. ეს საერთაშორისო მუშათა კლასისა და ყველა ქვეყნის ხალხთა ისტორიული მონაპოვარია.

თავისი მტაცებლური არსით იმპერიალიზმი ვერ განთავისუფლდება იმ მისწრაფებისაგან, რომ ომის გზით გადაჭრას წინაღმდეგობანი საერთაშორისო ასპარეზზე. მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ვერც მსოფლიო თერმოატომურ ომს ატეხს, ითვალისწინებს რა, რომ მოსპობის საფრთხეს შეუქმნის თავის თავს.

მსოფლიო ომი, რომლითაც იმპერიალიზმი ემუქრება კაცობრიობას, ფატალური გარდუვალობა როდია. სოციალიზმის ძალები სულ უფრო რომ სჭარბობენ იმპერიალიზმის ძალებს, ხოლო მშვიდობის ძალები — ომის ძალებს, ეს იმას იწვევს, რომ ჯერ კიდევ სოციალიზმის სრულ გამარჯვებამდე დედამიწაზე, როცა კაპიტალიზმი არსებობს მსოფლიოს ერთ ნაწილში, წარმოიშობა რეალური შესაძლებლობა, რომ გამორიცხოს მსოფლიო ომი საზოგადოების ცხოვრებიდან.

რა თქმა უნდა, ამ ომის თავიდან აცილებისათვის საჭიროა შემდგომ ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ სოციალისტური სისტემა, დავრაზმოთ საერთაშორისო მუშათა კლასის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთელი ძალები, მთელი დემოკრატიული ძალები. ვისთვისაც ძვირფასია სოციალიზმის ინტერესები, მშვიდობის ინტერესები, იმათ ყოველივე აუცილებელი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ ჩაფუშონ მსოფლიო რეაქციის დანაშაულებრივი ზრახვები, უფლება არ მისცენ მას ატეხოს თერმოატომური ომი და მოსპოს ასობით მილიონი ადამიანი. საღი გათვალისწინება იმისა, თუ რა გარდაუვალი შედეგები მოჰყვება თერმოატომურ ომს მთელი კაცობრიობისათვის, სოციალიზმის საქმისათვის, მტკიცედ აყენებს მარქსისტ-ლენინელების წინაშე ამოცანას, რომ გავაკეთოთ ყველაფერი, რაც კი ძალგვიძს, რათა თავიდან ავიცილოთ ახალი მსოფლიო კონფლიქტი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მტკიცედ ხელმძღვანელობს 1960 წლის განცხადების დებულებით

(გაგრძელება მე-2 გვ.)

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია 1963 წლის 26 აპრილს ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ქოჯენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჰაძე

ქ. თბილ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილი
ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

იმის შესახებ, რომ: „მსოფლიოს ორ სისტემად გათიშვის პირობებში საერთაშორისო ურთიერთობის ერთადერთი სწორი და გონივრული პრინციპია სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, რომელიც ვ. ი. ლენინმა წამოაყენა და რომელმაც შემდგომი განვითარება ჰპოვა მოსკოვის 1957 წლის დეკლარაციასა და მშვიდობის მანიფესტში, სკკპ XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილებებსა და სხვა კომუნისტური და მუშათა პარტიების დოკუმენტებში“.

ჩვენს პარტიას, რომელიც დიდმა ლენინმა აღზარდა იმპერიალიზმის წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლის სულისკვეთებით, ახსოვს ლენინის გაფრთხილება, რომ კაპიტალიზმს, როცა კვდება, კიდევ ძალუძს მოუტანოს კაცობრიობას აუარაცხელი უბედურება. საბჭოთა კავშირი ყოველი ღონისძიებით ავითარებს ეკონომიკას და ამ საფუძველზე სრულყოფს თავის თავდაცვას, ზრდის სამხედრო ძლიერებას, მუდამ საბრძოლოდ ჰყავს გამზადებული შეიარაღებული ძალები. მაგრამ ჩვენი ქვეყნის მზარდი ძლიერება გამოვიყენეთ და კვლავაც გამოვიყენებთ არა იმისათვის, რომ ვიხმაროთ დავემუქროთ, არა იმისათვის, რომ სამარი ვნებათაღლეღა გავაღვიძოთ, არამედ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ მშვიდობა, თავიდან ავიცილოთ ახალი მსოფლიო ომი, დავიცვათ ჩვენი ქვეყანა და სოციალიზმის სხვა ქვეყნები.

მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა შეესაბამება ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებს, იგი ხელს უწყობს სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებას, სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო გავლენის ზრდას, აძლიერებს კომუნისტების ავტორიტეტსა და გავლენას.

მშვიდობიანი თანაარსებობა როდი ნიშნავს სოციალისტური იდეოლოგიისა და ბურჟუაზიული იდეოლოგიის შერიგებას. დაადგა ასეთ გზას იმას ნიშნავს, რომ უარი თქვა მარქსიზმ-ლენინიზმზე, შეაფერხო სოციალისტური მშენებლობის საქმე. ბურჟუაზიული იდეოლოგია თავისებური ტროადის ცხენია, რომლის დეგზავნასაც ცდილობს იმპერიალიზმი კომუნისტური და მუშათა მოძრაობის რიგებში. სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა ითვალისწინებს შეუნელებელ იდეოლოგიურ, პოლიტიკურ, ეკონომიურ ბრძოლას ორ სოციალურ სისტემას შორის; მშრომელთა კლასობრივ ბრძოლას კაპიტალისტური სისტემის ქვეყნებში, აგრეთვე შეიარაღებულ ბრძოლას, როცა ხალხები საჭიროდ მიიჩნევენ ამას; კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განუხრელ განვითარებას.

ფაქტები გვიჩვენებენ, რომ ბრძოლა მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის სრულებითაც არ ბოჭავს მსოფლიო კომუნისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალებს, არამედ, პირიქით, კომუნისტების გარშემო აერთიანებს ხალხთა უფართოეს მასებს. სწორედ სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ვითარებაში მოხდა სოციალისტური რევოლუცია კუბაზე, ეროვნულ დამოუკიდებლობას მიაღწია ალჟირელმა ხალხმა, ორმოცზე მეტმა ქვეყანამ მოიპოვა ეროვნული დამოუკიდებლობა, განმტკიცდნენ და გაიზარდნენ მომძე პარტიები, გადიდდა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გავლენა.

სოციალისტური ქვეყნები, რომლებიც მშვიდობიანი თანაარსებობის ვითარებას იყენებენ, სულ ახალ წარმატებებს აღწევენ კაპიტალიზმთან ეკონომიურ შეჯიბრებაში. ჩვენს მოწინააღმდეგეებს ესმით, რომ ძნელია გამარჯვების იმედი ჰქონდეთ ჩვენთან შეჯიბრებაში. მათ არ ძალუძთ წინააღმდეგობა გაუწიონ სოციალიზმის ქვეყნების სამეურნეო განვითარების სწრაფ ტემპებს, ისინი უძლურნი არიან წინაღუდგნენ სოციალისტური ქვეყნების მაგალითის ზემოქმედებას ხალხებზე, რომლებიც კაპიტალიზმის ბატონობას განიცდიან.

სოციალისტური თანამეგობრობის ეკონომიკის ზრდის კვალობაზე სულ უფრო მკაფიოდ გამოვლინდება სოციალიზმის უპირატესობანი და იმის შესაძლებლობა, რომ მშრომელებმა მიიღონ მეტი მატერიალური და სულიერი სიკეთე კაპიტალიზმთან შედარებით. სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ცხოვრების დონის ამაღლება დიდი მიმზიდველი ძალაა ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მუშათა კლასისათვის. სოციალისტური თანამეგობრობის წარმატებანი თავისებური კატალიზატორი, გამარევოლუციურებელი ფაქტორი იქნება იმისათვის, რომ გაიმალოს კლასობრივი ბრძოლა კაპიტალისტურ ქვეყნებში და მუშათა კლასმა გაიმარჯვოს კაპიტალიზმზე.

ხალხები, რომლებიც სოციალიზმის გზას დაადგნენ, წარსულისაგან მემკვიდრეობად იღებენ სხვადასხვა დონის ეკონომიკასა და კულტურას. მაგრამ მიუხედავად ამისა, და მაგალითს აქ წარმოადგენს საბჭოთა კავშირი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, — სოციალიზმი ავითარებს დიდ საწარმოო ძალებს. საბჭოთა კავშირმა უკვე გაუსწრო ევროპის დიდად განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ეკონომიკის განვითარებით და მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიოში, ხოლო ახლო მომავალში პირველ ადგილს დაიკავებს მსოფლიოში. დიდ წარმატებებს მიაღწიეს სოციალიზმის სხვა ქვეყნებმაც. სოციალისტური წყობილება იმდენად პროგრესულია, რომ საშუალებას აძლევს ხალხებს სწრაფ ტემპებით აღმოფხვრან ჩამორჩენილობა, დაეწიონ უფრო განვითარებულ ქვეყნებს და მათთან ერთად ერთ მწკრივში იბრძოლონ კომუნიზმის აშენებისათვის.

ყოველივე ეს აღაფრთოვანებს ხალხებს, უნერგავს რწმენას, რომ შეუძლიათ დაადგნენ სოციალიზმის გზას და მოიპოვონ წარმატებანი ამ გზაზე მიუხედავად იმისა, თუ ისტორიული განვითარების რა დონეზე არიან ახლა. ხალხთა წინსვლას ახალი ცხოვრებისაკენ აადვილებს ის, რომ მათ შესაძლებლობა აქვთ ამოირჩიონ ის, რაც უკეთესია, სოციალიზმის მშენებლობის მსოფლიო გამოცდილებიდან. გაითვალისწინონ სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებაში როგორც დადებითი, ისე უარყოფითი.

რაც უფრო სწრაფად განვითარდება სოციალისტური ქვეყნების საწარმოო ძალები, რაც უფრო გადიდდება მათი ეკონომიური პოტენციალი, მით უფრო ძლიერი იქნება სოციალისტური თანამეგობრობის გავლენა მთელი ისტორიული განვითარების ტემპებსა და მიმართულებაზე მშვიდობისა და სოციალიზმის სრული გამარჯვების ინტერესებისათვის.

ჩვენი პარტია ითვალისწინებს, რომ თანამედროვე ეპოქაში არის ხელშემწყობი საერთაშორისო და საშინაო პირობები სულ ახალი ქვეყნების გადასვლისათვის სოციალიზმზე. ეს სამართლიანია როგორც განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მიმართ, ისე იმ ქვეყნების მიმართ, რომლებმაც ცოტა ხნის წინათ მოიპოვეს ეროვნული დამოუკიდებლობა.

მსოფლიო რევოლუციური პროცესი სულ უფრო ფართოდ ვითარდება, ყველა კონტინენტს მოიცავს. მუშათა კლასის ბრძოლა განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთმანეთთან, ხელს უწყობს ერთმანეთს. საზოგადოებრივი განვითარების მსვლელობამ გამოიწვია ის, რომ რევოლუციური ბრძოლა, რომელ ქვეყანაშიც უნდა წარმოებდეს იგი, მიმართულია საერთო მთავარი მტრის — იმპერიალიზმის, მონოპოლისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ.

მარქსისტულ-ლენინურ პარტიებს მთელ მსოფლიოში საერთო საბოლოო მიზანი აქვთ — დარაზმონ მთელი ძალები იმისათვის საბრძოლველად, რომ ძალაუფლება დაიპყრონ მუშებმა და მშრომელმა გლეხებმა, სოციალიზმისა და კომუნიზმის ასაშენებლად. თავისი ბრძოლის ტაქტიკურ ხაზს რომ იმუშავებს, თვითეული კომუნისტური პარტია არ შეიძლება არ ითვალისწინებდეს მთელი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გამოცდილებას, მხედველობაში არ იღებდეს იმ ინტერესებს, მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც მთელი ჩვენი მოძრაობა ისახავს, მის გენერალურ ხაზს მოცემულ პერიოდში.

მაგრამ ყოველივე ამასთან ერთად სოციალიზმისათვის ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების შემუშავება ყოველ ცალკეულ ქვეყანაში ამ ქვეყნის მუშათა კლასისა და მისი კომუნისტური ავანგარდის საშინაო საქმეა. ვერავითარი სხვა მომძე პარტია, მიუხედავად მისი რიცხვის, გამოცდილების და ავტორიტეტისა, ვერ განსაზღვრავს სხვა ქვეყნების რევოლუციური ბრძოლის ტაქტიკას, ფორმებსა და მეთოდებს. რევოლუცია ხალხთა უფართოესი მასების საქმეა. კონკრეტული სიტუაციის ზუსტი ანალიზი, ძალთა თანაფარდობის სწორი შეფასება რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა. არ შეიძლება შეაჩერო რევოლუციური მასების სწრაფვა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, როცა ამისათვის მომწიფებულია ობიექტური და სუბიექტური პირობები. ეს სიკვდილი იქნებოდა. მაგრამ არ შეიძლება ხელოვნურად უბიძგებდე რევოლუციას, თუ ამისათვის პირობები არ მომწიფებულა. მოუმწიფებელი აჯანყება, როგორც კლასობრივი რევოლუციური ბრძოლის გამოცდილება გვასწავლის, განწირულია ჩასაფუშავად. კომუნისტები იმისათვის მოუწოდებენ მშრომელებს დადგნენ წითელი დროშის ქვეშ, რომ გიმარჯვონ ქვეყნად უკეთესი ცხოვრებისათვის ბრძოლაში, და არა იმისათვის, რომ დაიღუპონ, თუნდაც გმირულად. რევოლუციურ ბრძოლებში აუცილებელი გმირობა და თავგანწირვა საჭიროა არა თავისთავად, არამედ სოციალიზმის დიადი იდეების გამარჯვებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მიესალმებოდა და კვლავაც მიესალმება ყოველი ქვეყნის რევოლუციურ მუშათა კლასს, მშრომელებს, რომლებიც თავიანთი კომუნისტური ავანგარდის მეთაურობით უნარიანად იყენებენ რევოლუციურ სიტუაციას, რათა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცენ კლასობრივ მტერს და დაამყარონ ახალი საზოგადოებრივი წყობილება.

კომპარტიების ტაქტიკასა და პოლიტიკას კაპიტალისტურ ქვეყნებში აქვს საერთო არსებითი ნიშანთვისებანი, რომლებიც დაკავშირებულია კაპიტალიზმის საერთო კრიზისის თანამედროვე ეტაპთან და მსოფლიო ასპარეზზე შექმნილ ძალთა თანაფარდობასთან. სახელმწიფო - მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარების შედეგად არა მარტო გაღრმავდა კაპიტალისტური საზოგადოების წინაა წამოჭრილი წინააღმდეგობანი, არამედ წარმოიშვა ახალი წინააღმდეგობანი. სახელმწიფო-მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა კიდევ უფრო შეზღუდა იმპერიალიზმის სოციალური ბაზა ქვეყნის შიგნით, ძალაუფლებას თავი მოუყარა ყველაზე მსხვილ მონოპოლისტთა მცირე ჯგუფის ხელში. ეს მეორე პოლუსზე წარმოშობს ერთიან ანტიმონოპოლისტურ ნაკადს, რომელშიც შედიან მუშათა კლასი, გლეხობა, წვრილი ბურჟუაზია, მშრომელი ინტელიგენცია და კაპიტალისტური საზოგადოების ზოგიერთი სხვა ფენა, რომელნიც დაინტერესებულნ არიან მონოპოლიების ყოვლისშემძლეობისაგან, ექსპლოატაციისაგან განთავისუფლებით სოციალიზმზე გადასვლით.

ჩვენს დროში მკვეთრად იზრდება მნიშვნელობა დემოკრატიული მოძრაობებისა — ბრძოლისა საყოველთაო მშვიდობისათვის, მსოფლიო თერმოატომური კატასტროფის თავიდან აცილებისათვის, ეროვნული სუვერენიტეტის შენარჩუნებისათვის, ფაშიზმის შემოტევის წინააღმდეგ დემოკრატიის დაცვისათვის, აგრარული გარდაქმნების განხორციელებისათვის, ჰუმანისტური მოძრაობისა კულტურის დასაცავად და სხვ.

ჩვენი პარტია მთლიანად დგას ლენინურ პოზიციებზე, განცხადების იმ პოზიციებზე, რომ სოციალისტური რევოლუცია აუცილებლად როდია დაკავშირებული ომთან. თუ მსოფლიო ომებს ძლევამოსილი რევოლუცია მოჰყვება, სავსებით შესაძლებელია რევოლუციები უომოდ.

კომუნისტები სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას მსოფლიო ომს რომ უკავშირებდნენ, ეს არა თუ სიმპათიებს არ გამოიწვევდა სოციალიზმისადმი, არამედ ჩამოაშორებდა მას მასებს. ომის წარმოების თანამედროვე საშუალებათა პირობებში, როცა მას საშინელი გამანადგურებელი შედეგები მოჰყვება, ასეთი მოწოდება ხელსაყრელი იქნებოდა მხოლოდ ჩვენი მტრებისათვის.

მუშათა კლასი და მისი ავანგარდი — მარქსისტულ-ლენინური პარტიები ცდილობენ გახახოოციელონ სოციალისტური რევოლუცია მშვიდობიანი საშუალებით, სამოქალაქო ომის გაუჩაღებლად. ამ შესაძლებლობის განხორციელება შეესაბამება მუშათა კლასისა და მთელი ხალხის ინტერესებს, ქვეყნის საერთო ეროვნულ ინტერესებს. ამავე დროს რევოლუციის განვითარების გზების ამორჩევა მარტოოდენ მუშათა კლასზე როდია დამოკიდებული. თუ ექსპლოატატორული კლასები მიმართავენ ძალადობას ხალხის მიმართ, მუშათა კლასი იძულებული იქნება გამოიყენოს ძალაუფლების ხელში ჩაგდების არამშვიდობიანი გზა. ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტულ პირობებზე, კლასობრივი ძალების განლაგებაზე ქვეყნის შიგნით და მსოფლიო ასპარეზზე.

რასაკვირველია, რა ფორმითაც უნდა მოხდეს გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე, ეს შეესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის გზით, პროლეტარიატის დიქტატურის სხვადასხვა ფორმების გზით. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია დიდად აფასებს მუშათა კლასის თავდადებულ ბრძოლას კაპიტალის ქვეყნებში, რასაც იგი კომუნისტთა მეთაურობით აწარმოებს, და თავის მოვალეობად მიაჩნია გაუწიოს მათ ყოველმხრივი დახმარება და მხარდაჭერა.

ჩვენს პარტიას ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მიაჩნია მსოფლიო რევოლუციური პროცესის შემადგენელ ხაოლად, მძლავრ ძალად, რომელიც არღვევს იმპერიალიზმის ფრონტს. ყოფილი კოლონიების ხალხები ახლა მთელი ძალით იწყებენ დამოუკიდებელ ისტორიულ მემკვიდრეობას და ეძიებენ თავიანთი ეროვნული ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობის გზებს. სოციალისტური სისტემის ძალების ზრდა აქტიურად უწყობს ხელს ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლებას, მათ მიერ ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებას, მის ბრძოლას ძველი და ახალი კოლონიალიზმის ყოველგვარი ფორმების წინააღმდეგ.

ეროვნულ - განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიური რეჟიმების ლიკვიდაციის საბოლოო სტადიაში შევიდა. შორს აღარ არის ის დრო, როცა ყველა ხალხი, რომლებიც ჯერ კიდევ კოლონიზატორთა უღელქვეშ იმყოფებიან, მოიპოვებს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. განთავისუფლებული ხალხები უმუალოდ აწყდებიან პრობლემას — განამტკიცონ პოლიტიკური დამოუკიდებლობა, აღმოფხვრან ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა, მოსპონ ყოველგვარი დამოკიდებულება იმპერიალიზმზე.

საარსებო ამოცანები ეროვნული აღორძინებისა იმ ქვეყნებში, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური ჩაგვრის უღელი, წარმატებით ხორციელდება მხოლოდ იმ პირობით, თუ გადამწყვეტი ბრძოლა წარმოებს იმპერიალიზმისა და ფეოდალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, ერთიან ეროვნულ ფრონტად ერის მთელი პატრიოტული ძალების — მუშათა კლასის, გლეხობის, ეროვნული ბურჟუაზიისა და დემოკრატიული ინტელიგენციის გაერთიანების გზით.

ხალხები, რომლებიც იბრძვიან ეროვნული განთავისუფლებისათვის და უკვე მოიპოვეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, აღარ არიან იმპერიალიზმის რეზერვი, ისინი სოციალისტურ სახელმწიფოთა და მთელი პროგრესული ძალების მხარდაჭერით სულ უფრო ხშირად ამარცხებენ იმპერიალისტურ სახელმწიფოებსა და კოალიციებს.

ახალგაზრდა ეროვნული სახელმწიფოები ვითარდებიან ორი მსოფლიო საზოგადოებრივი სისტემის შეჯიბრების პირობებში. ეს გარემოება უძლიერეს ზემოქმედებას ახდენს მათს პოლიტიკურ და ეკონომიურ განვითარებაზე, იმ გზების ამორჩევაზე, რომლებითაც იელიან მომავალში. სახელმწიფოები, რომლებმაც ცოტა ხნის წინათ მოიპოვეს ეროვნული განთავისუფლება, არ შედიან არც სოციალისტურ სახელმწიფოთა სისტემაში, არც კაპიტალისტურ სახელმწიფოთა სისტემაში, მაგრამ ამ სახელმწიფოთა დიდმა უმრავლესობამ ჯერ კიდევ ვერ დააღწია თავი მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის ორბიტას, თუმცა იქ განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ეს მსოფლიოს ის ნაწილია, რომელსაც ჯერ კიდევ კაპიტალისტური მონოპოლიები უწევენ ექსპლოატაციას.

ახლა, როცა პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოპოვებულია, წინა პლანზე დგება ახალგაზრდა სუვერენულ სახელმწიფოთა ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, საბოლოო ეროვნული აღორძინებისათვის, ეკონომიური დამოუკიდებლობისათვის. სუსტად განვითარებული ქვეყნების მიერ სრული დამოუკიდებლობის მიღწევა მომასწავებელი იქნებოდა იმპერიალიზმის ახალი სერიოზული დასუსტებისა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში უთუოდ დაინგრეოდა შრომის ახლანდელი მძარცველური, არათანასწორუფლებიანი საერთაშორისო განაწილების მთელი სისტემა, ძირი გამოეთხრებოდა კაპიტალისტურ მონოპოლიათა მიერ „მსოფლიო სოფლის“ ეკონომიურ ექსპლოატაციას. დამოუკიდებელი ეროვნული ეკონომიკის განვითარება სუსტად განვითარებულ ქვეყნებში, რაც სოციალისტური სისტემის ეფექტიან დახმარებას ემყარება, ახალ მძიმე ლახვარს ჩასცემს იმპერიალიზმს.

დამოუკიდებლობის მოპოვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში საჭიროა ერის მთელი იმ ძალების ყოველმხრივ შეკავშირება, რომლებიც მზად არიან იბრძოლონ იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეროვნული ბურჟუაზიის მემარჯვენე ფრთა ცდილობს განამტკიცოს თავისი გაბატონებული მდგომარეობა დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ და შეუძლია რაღაც პერიოდისათვის დაამყაროს რეაქციული პოლიტიკური რეჟიმები, დაიწყოს კომუნისტთა და სხვა დემოკრატთა დევნა. მაგრამ ასეთი რეჟიმები დღემოკლეა უკვე იმიტომ, რომ ისინი ეწინააღმდეგებიან პროგრესს, საარსებო ეროვნული ამოცანების გადაჭრას — უწინარეს ყოვლისა, ეკონომიური დამოუკიდებლობის მოპოვებას, საწარმოო ძალების განვითარებას. სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმპერიალისტთა მხრივ აქტიური მხარდაჭერისა, ამ რეჟიმებს აღგვის ხალხთა მასების ბრძოლა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიას თავისი საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ ქვაკუთხედად მიაჩნია ძმური კავშირი ხალხებთან, რომლებმაც მოიშორეს კოლონიური უღელი, და ნახევრად კოლონიათა ხალხებთან. ჩვენს პარტიას ინტერნაციონალურ მოვალეობად მიაჩნია დახმარება გაუწიოს ხალხებს, რომლებიც მიდიან ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებისა და განმტკიცების გზით. ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან კოლონიური სისტემის სრული მოსპობისათვის. საბჭოთა კავშირი მხარს უჭერდა და უჭერს ხალხთა წმიდათა-წმიდა ომებს თავისუფლებისათვის, ყოველმხრივ მორალურ, ეკონომიურ, სამხედრო და პოლიტიკურ მხარდაჭერას უწევდა და უწევს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

საბჭოთა ხალხმა დიდი მხარდაჭერა გაუწია ალჟირელ ხალხს, როცა იგი იბრძოდა ფრანგი კოლონიზატორების წინააღმდეგ. როცა იემენის ხალხი აღდგა მონობის წინააღმდეგ თავის ქვეყანაში, ჩვენ პირველმა გავუწოდეთ მას დახმარების ხელი. ჩვენ ყოველმხრივ დახმარებას ვუწევდით ინდონეზიელ ხალხს მის ბრძოლაში დასავლეთ ირიანის განთავისუფლებისათვის ჰოლანდიელ იმპერიალისტთაგან, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებს ეყრდნობოდნენ. ჩვენ მივესალმებით ინდონეზიელი ხალხის ბრძოლას ჩრდილოეთ კალიმანტანის განთავისუფლებისათვის.

ძველი და ახალი კოლონიზატორები ინტრიგებისა და შეთქმულებათა ქსელს აბამენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ. ჩვენი სიმპათიები და ხელშეწყობა მუდამ იმათ მხარეზეა, ვინც იბრძვის თავისი ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ სამხრეთ ვიეტნამისა და სამხრეთ კორეის ხალხები, მიუხედავად ამერიკელი იმპერიალისტების და მათი მარionეტების ყოველგვარი მეცადინეობისა, მოიპოვებენ გამარჯვებას ბრძოლაში და გაიერთიანებენ თავიანთ შშობლიურ მიწებს.

რევოლუციის ექსპორტის წინააღმდეგ რომ გამოდის, ჩვენი პარტია ყოველ ღონეს ხმარობდა და ხმარობს, რათა გზა გადაუღობოს კონტრრევოლუციის ექსპორტს. ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ თანამედროვეობის სამი დიდი რევოლუციური ძალის — სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებელ ხალხთა, საერთაშორისო რევოლუციური მუშათა მოძრაობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის — ურთიერთკავშირი და მოქმედების ერთიანობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლის საფუძველია, მათი გამარჯვების საწინდარია.

მსოფლიო განვითარების მთელმა მსვლელობამ უკანასკნელ წლებში საკმაოდ დაადასტურა კომუნისტური მოძრაობის იმ ხაზის სისწორე, რომელმაც შესანიშნავი შედეგები მოიტანა პრაქტიკულად. ამ ხაზის განხორციელების მეოხებით ძალებმა, რომლებიც იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის, ახალი წარმატებანი მოიპოვეს. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავის მოვალეობად მიაჩნია თანმიმდევრულად და განუხრელად განახორციელოს ეს ხაზი.

ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ არ არსებობს არავითარი საფუძველი ამ ხაზის გადასასინჯავად.

ამავე დროს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ თათბირისათვის მზადების მსვლელობაში, აგრეთვე თვით კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირზე სასარგებლო იქნებოდა აზრთა ურთიერთგაზიარება იმ ახლის შესახებ, რითაც გამდიდრა ცხოვრებამ უკანასკნელ წლებში მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ხაზი, რაც აღნიშნულია დეკლარაციასა და განცხადებაში.

თქვენს წერილში, ძვირფასო ამხანაგებო, თქვენ სამართლიანად აღნიშნავთ, რომ ყველა ჩვენი წარმატების საწინდარია კომუნისტური მოძრაობის რიგების ერთიანობისა და სოციალისტური ქვეყნების შეკავშირების განმტკიცება. უკანასკნელ დროს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავის ყირილობებსა და საერთაშორისო კომუნისტურ შეხვედრებზე არაერთხელ აღუნიშნავს, თუ როგორ ესმის მარქსისტულ-ლენინური პარტიების ურთიერთობის პრინციპები. ჩვენ მთელი მსოფლიოს წინაშე ხაზგასმით აღვნიშნეთ, რომ კომუნისტურ მოძრაობაში, ისევე როგორც სოციალისტურ თანამეგობრობაში, არსებობდა და არსებობს ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის, ყველა სოციალისტური ქვეყნის სრული თანასწორუფლებიანობა. კომუნისტურ მოძრაობაში არ არის „ზემდგომი“ და „ხელქვეითი“ პარტიები. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. რომელიმე პარტიის მეთაურობა ან რაიმე ჰეგემონიის გამოვლინება არაფერ დადებითს, გარდა უარყოფითისა, არ აძლევს საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას. ყველა კომუნისტური პარტია დამოკიდებული და თანასწორუფლებიანია. ყველას ეკისრება პასუხისმგებლობა კომუნისტური მოძრაობის ბედისათვის, მისი გამარჯვებებისა და წარუმატებლობისათვის, ყველა უნდა ამყარებდეს თავის ურთიერთობას პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ურთიერთდახმარების საფუძველზე.

ჩვენ ვეყრდნობით აგრეთვე იმას, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმი ერთნაირ მოთხოვნებს უყენებს ყველა პარტიას — დიდსა და პატარას, მაგრამ გამონაკლისს არავისთვის არ აკეთებს. ყველა მომძე პარტია ერთნაირად უნდა ზრუნავდეს იმისათვის, რომ მათი საქმიანობა ემყარებოდეს მარქსისტულ-ლენინურ პრინციპებს, შეესაბამებოდეს სოციალისტური ქვეყნების, მთელი მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების ინტერესებს.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა და განვითარება მარქსისტულ-ლენინური პარტიების სწორი ურთიერთობის საკითხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. სოციალიზმის ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები მმართველი პარტიები არიან. მათ პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახელმწიფოთა ბედისათვის, თავიანთი ხალხების ბედისათვის. ამ პირობებში პარტიების ურთიერთობის მარქსისტულ-ლენინური პრინციპების დარღვევა შეიძლება შეეხოს არა მარტო პარტიულ ინტერესებს, არამედ ხალხის ფართო მასების ინტერესებს.

ხელმძღვანელობდა რა ჩვენი საქმის უმაღლესი ინტერესებით, საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ აღმოფხვრა სტალინის პიროვნების კულტის შედეგები და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ სავსებით აღდგინა მომძე პარტიათა ურთიერთობაში თანასწორუფლებიანობის, სოციალისტური ქვეყნების სუვერენიტეტის პატივისცემის ლენინური პრინციპები. ამან უდიდესი დადებითი როლი შეასრულა მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ერთიანობის განმტკიცებაში. შეიქმნა ხელშემწყობი ვითარება იმისათვის, რომ ჩვენი მეგობრობა მტკიცდებოდეს თანასწორუფლებიანობის, თვითეული სახელმწიფოს სუვერენიტეტის პატივისცემის, ურთიერთდახმარებისა და ამხანაგური თანამშრომლობის, თვითეული ქვეყნის მიერ თავისი ინტერნაციონალური მოვალეობის ნებაყოფლობითი შესრულების საფუძველზე. ამასთან ერთად ჩვენ გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ სოციალისტური თანასწორუფლებიანობა არა მარტო თანასწორი უფლებაა მონაწილეობის მიღებისა საერთო ხაზის კოლექტიურ შემუშავებაში, არამედ აგრეთვე სოციალისტური ქვეყნების მომძე პარტიების თანასწორი პასუხისმგებლობაც ყოველ მთელი თანამეგობრობის ბედისათვის.

მომძე პარტიების მოსკოვის თათბირის განცხადებაში ხაზგასმით აღინიშნა ის დებულება, რომ საჭიროა კაპიტალიზმს ჩამოშორებული ქვეყნების უაღრესად მჭიდრო კავშირი, მათი ღონისძიებების გაერთიანება სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში. საერთოდ მთელი სოციალისტური სისტემის ინტერესები და ეროვნული ინტერესები ჰარმონიულად ეხამება ერთმანეთს. ცხოვრება გვარწმუნებს, რომ თავის ეროვნულ ამოცანებს თვითეული ქვეყანა საუკეთესოდ გადაჭრის მხოლოდ მჭიდრო თანამშრომლობით სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ნამდვილი ერთიანობისა და ურთიერთდახმარების საფუძველზე.

ჩვენი ერთიანობა, ჩვენი სოლიდარული მოქმედება სტიქიურად როდი წარმოიშობა. ისინი ნაკარნახევია ობიექტური აუცილებლობით, შედეგია მარქსისტულ-ლენინური პარტიების შეგნებული საქმიანობისა, მიზანსწრაფული ინტერნაციონალისტური პოლიტიკისა, ჩვენი რიგების შეკავშირებისათვის მათი დაუცხრომელი ზრუნვისა.

ჩვენ როდი ვარიდებთ თვალს იმას, რომ სოციალისტური ქვეყნების ურთიერთობაში მეგზურობა ეკარგებოდეს ზოგჯერ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს. ეს ნაკლოვანებანი ეროვნული ნიადაგიდან, ეროვნული ინტერესებიდან, ეროვნული ამოცანებიდან ამოდიან. ეს ნაკლოვანებანი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილი
ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი

(დასასრული)

ლების დებულებებს, რომლებშიც აღნიშნულია, რომ საჭიროა ბრძოლა ორ ფრონტზე — მემარჯვენე და მემარცხენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ. განცხადებაში სწორად არის აღნიშნული, რომ მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობაში მთავარი საფრთხეა რევიზიონიზმი, და ამასთანავე აღნიშნულია, რომ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა სექტანტობისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ, რომლებიც შეიძლება მთავარ საფრთხედ გადაიქცნენ ცალკეული პარტიების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, თუ მათ წინააღმდეგ არ ვაწარმოეთ თანმიმდევრული ბრძოლა.

ჩვენი პარტია, რომელიც ხელმძღვანელობს იმ ინტერესებით, რომ განმტკიცდეს მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპებზე, კვლავაც გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებს როგორც მემარჯვენე, ისე მემარცხენე ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, რომელიც ახლა არანაკლებ საშიშია, ვიდრე რევიზიონიზმი. ჩვენ კვლავ შეურიგებელი ვართ კომუნისტური მოძრაობის თეორიისა და ტაქტიკის პრინციპულ, ძირეულ საკითხებში, ვიბრძვით რევიზიონიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ და არ დავიშურებთ ძალღონეს, რომ მოთმინებითი ამხანაგური განხილვის გზით გამოვარკვიოთ საკითხები, რომლებიც სხვადასხვა გვარად გვესმის, რათა გავწმინდოთ გზა ყოველივე დანაშრევისაგან, რომელიც ხელს უშლის ჩვენს შეკავშირებას. ამასთან ჩვენ ვითვალისწინებთ, რომ, როცა აკრიტიკებენ ამა თუ იმ შეცდომას მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპულ საკითხებში, მომმე პარტიები, ისევე როგორც კომუნისტური მოძრაობის საერთაშორისო თათბირები, თავიანთ ამოცანად ისახავენ აღნიშნონ, რომ საშიშია ასეთი შეცდომები, ხელი შეუწყონ მათ გამოსწორებას, და არ დაამკვიდრონ ეს შეცდომები. ჩვენ ვცდილობთ ყოველი ღონისძიებით შევუწყოთ ხელი რევოლუციური ძალების შეკავშირებას, და არა გათიშვას, ჩვენი მოძრაობის ამა თუ იმ რაზმის გამიჯვნას. რა თქმა უნდა, კომუნისტები ვერ შეურიგდებიან დათმობებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის პრინციპულ საკითხებში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, როგორც ინტერნაციონალისტური პარტია, ყურადღებით სწავლობს მსოფლიოს ყველა ქვეყნის მარქსისტულ-ლენინური პარტიების ბრძოლის გამოცდილებას. ჩვენ დრდად ვიფასებთ საფრანგეთის, იტალიის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასისა და მისი რევოლუციური ავანგარდის — კომუნისტური პარტიების ბრძოლას; აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ქვეყნების კომუნისტური პარტიების მეცადინეობას, რომლებიც გმირულად იბრძვიან იმპერიალისტურ მონოპოლიათა ძალმომრეობის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ, ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის.

კომუნისტური პარტიები გაიზარდნენ როგორც ერების გავლენიანი ძალები, როგორც თავიანთი ხალხების ბედნიერებისათვის მებრძოლთა მოწინავე რაზმები. შემთხვევითი როდია, რომ რეაქცია ზედიზედ მიმართავს რეპრესიებს კომუნისტების წინააღმდეგ, ცდილობს გატეხოს მათი ნებისყოფა. კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში რეაქცია იყენებს გაცვეთილ სიცრუეს „მოსკოვის ხელის“ შესახებ, ესე იგი იმის შესახებ, თითქოს კომუნისტური პარტიები არ იყვნენ რევოლუციური ძალა, არამედ ახორციელებდნენ სხვა ქვეყნის პოლიტიკას, წარმოადგენდნენ მის იარაღს. იმპერიალისტები ამას აკეთებენ ბოროტი განზრახვით, რათა იბრძოლონ კომუნისტური პარტიების მზარდი გავლენის წინააღმდეგ, რათა გამოიწვიონ ხალხთა მასების უნდობლობა მათ მიმართ, გაამართლონ პოლიციური რეპრესიები კომუნისტების წინააღმდეგ.

მაგრამ ყველა პატიოსანმა ადამიანმა იცის, რომ სწორედ კომუნისტური პარტიები არიან ეროვნული ინტერესების ნამდვილი გამომხატველნი და დამცველნი, ერთგული პატრიოტები, რომლებიც ხალხის ბედნიერებისათვის ბრძოლაში ერთმანეთს უხამებენ სამშობლოს სიყვარულსა და პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას თავის მოვალეობად მიაჩნია ყოველი ღონისძიებით დაუჭიროს მხარი თავისი ძმების გმირულ ბრძოლას კაპიტალის ქვეყნებში, განამტკიცოს მათთან ინტერნაციონალური სოლიდარობა.

ასეთია ზოგადად ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება თანამედროვეობის, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის უმნიშვნელოვანეს პრინციპულ საკითხებზე, რომელთა აღძვრაც საჭიროდ მივიჩნიეთ ამ წერილში.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ახლანდელი კურსი, რომელმაც გამოხატულება ჰპოვა მომმე პარტიათა დეკლარაციასა და განცხადებაში, ერთადერთი სწორი კურსია, და მიგვაჩნია, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის წარმომადგენელთა მომავალ შეხვედრაზე მიზანშეწონილი იქნება განვიხილოთ შემდეგი ყველაზე აქტუალური პრობლემები:

ა) მსოფლიო სოციალისტური სისტემის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისა და ადამიანთა საზოგადოების განვითარების გადამწყვეტ ფაქტორად მისი გადაქცევისათვის ბრძოლის საკითხები, რაც ჩვენი ეპოქის მთავარი განმასხვავებელი ნიშანია. ჩვენ შეგვიძლია ერთად განვიხილოთ, თუ როგორ უზრუნველყოთ უფრო სწრაფად და უკეთ სოციალისტური ქვეყნების გამარჯვება კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში;

ბ) მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობისათვის ბრძოლის საკითხები. ახალი მსოფლიო თერმოატომური ომის თავიდან აცილებისათვის საბრძოლველად მთელი მშვიდობისმოყვარე ძალების ღონისძიებათა გაერთიანების საჭიროება. მშვიდობის მომხრეთა უაღრესად ფართო ერთიანი ფრონტის შექმნა და განმტკიცება. იმპერიალიზმის რეაქციული არსის მხილება, სიფხიზლის გადიდება და ხალხთა ფართო მასების მობილიზაცია. იმპერიალისტების მიერ ახალი მსოფლიო ომის მომზადების წინააღმდეგ ბრძოლისათვის, იმპერიალისტთა აგრესიული ზრახვების ჩაშლისათვის, რეაქციისა და ომის ძალების იზოლაციისათვის. საერთაშორისო ურთიერთობაში სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპის დამკვიდრება. ბრძოლა საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის, მეორე მსოფლიო ომის ნაშთების ლიკვიდაციისათვის;

გ) იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები, იმპერიალიზმისა, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები მეთაურობენ. კაპიტალიზმის პოზიციების დასუსტების, მსოფლიო მეურნეობის მთელი კაპიტალისტური სისტემის მერყეობის ზრდის, კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა და, უწინარეს ყოვლისა, შრომასა და კაპიტალს შორის წინააღმდეგობათა გამწვავების, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და პოლიტიკის ღრმა კრიზისის გამოყენება ჩვენი საქმის ინტერესებისათვის. მხარდაჭერა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა, კლასობრივი და რევოლუციური ბრძოლისა მონოპოლიათა წინააღმდეგ, თავიანთი სოციალური განთავისუფლებისათვის, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობისათვის, ხალხთა დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლების გაფართოებისათვის;

დ) ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკითხები. ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მხარდაჭერა და ყოველი ღონისძიებით განვითარება. ბრძოლა კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის, მათი ყველა ფორმის სრული და საბოლოო ლიკვიდაციისათვის. მხარდაჭერა იმ ხალხებისადმი, რომლებიც კოლონიალიზმის წინააღმდეგ იბრძვიან, აგრეთვე იმ ქვეყნებისადმი, რომლებმაც ეროვნულ განთავისუფლებას მიაღწიეს. ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის განვითარება ამ ქვეყნებთან.

ე) სოციალისტური თანამეგობრობის, კომუნისტური მოძრაობის რიგების ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცების საკითხები. იმის საჭიროება, რომ ყოველი ღონისძიებით შევაკავშიროთ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა — ჩვენი დროის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური ძალა, განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა იმპერიალისტური რეაქცია ერთიანდება კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. აღკვეთა ყოველგვარი მოქმედებისა, რომელსაც შეუძლია ძირი გამოუთხაროს ამ ერთიანობას, თვითეული მოძმე პარტიის მიერ სოლიდარული დაცვა ერთობლივად შემუშავებული შეფასებისა და დასკვნებისა. განგრძობა ბრძოლისა რევიზიონიზმისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ, როგორც აუცილებელი პირობა მარქსიზმ-ლენინიზმის სიწმინდის დაცვისა და მისი შემოქმედებითი განვითარებისა, კომუნისტური მოძრაობის შემდგომი წარმატებებისა. მომმე პარტიათა ურთიერთობის განვითარება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ურთიერთდახმარებისა და მხარდაჭერის საფუძველზე. იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ იდეოლოგიური და პოლიტიკური ბრძოლის გაძლიერების ერთობლივ ღონისძიებათა შემუშავება.

მოლაპარაკების დროს შეიძლება განვიხილოთ თქვენს წერილში აღძრული ყველა საკითხი, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენს და მოსკოვის თათბირის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის ამოცანებიდან გამომდინარეობს. დიდი მნიშვნელობა ექნება სსრ კავშირსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის შეკავშირების განმტკიცებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვას.

თქვენს წერილში ეხებით ალბანეთისა და იუგოსლავიის საკითხებს. როგორც უკვე გწერდით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს საკითხები, თუმცა პრინციპული საკითხებია, ვერ დაჩრდილავენ და არც უნდა დაჩრდილონ თანამედროვეობის მთავარი პრობლემები, რომლებიც ჩვენს შეხვედრაზე უნდა განვიხილოთ.

ჩვენმა პარტიამ, რომელმაც დაგმო ალბანელ ხელმძღვანელთა გამთიშველი მოქმედება, ამასთანავე არაერთგზის გადადგა საჭირო ნაბიჯები საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და სხვა მომმე პარტიებთან ალბანეთის შრომის პარტიის ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელები უკანასკნელ ხანს არაერთგზის მიმართავდნენ კვლავ მიმართავენ ცილისმწამებლურ გამოხდომებს ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინააღმდეგ, ჩვენ, ვხელმძღვანელობთ რა უმაღლესი ინტერესებით, არ უარვყოფთ იმ აზრს, რომ შეიძლება გაუმჯობესდეს ურთიერთობა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ალბანეთის შრომის პარტიას შორის. მიმდინარე წლის თებერვლის დამლევს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ერთხელ კიდევ გამოიჩინა ინიციატივა და ალბანეთის შრომის პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიმართა წინადადებით, რომ მოეწყოს ჩვენი ორი პარტიის წარმომადგენელთა ორმხრივი შეხვედრა. მაგრამ ამ ჩვენს ამხანაგურ ნაბიჯებსაც ჯეროვნად არ გამოეხმაურა ალბანეთის ხელმძღვანელობა. ალბანეთის შრომის პარტიის ხელმძღვანელებმა არც კი მიიჩნიეს საჭიროდ მიეღოთ ჩვენი წერილი, რომელშიც წამოყენებული იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის წინადადება ორმხრივი შეხვედრის შესახებ. მოგვიანებით, როგორც ჩანს, ალბანელმა ხელმძღვანელებმა გადაიფიქრეს და გამოგზავნეს წერილი, რომელშიც გამოთქვამენ მთელ რიგ შენიშვნებსა და გვიყენებენ პირობებს, როცა ასეთ შეხვედრაზე ლაპარაკობენ. თუ ნამდვილად გამოიჩენენ სურვილს, ჩვენ მზად ვართ მოვაწყოთ ეს შეხვედრა.

რაც შეეხება იუგოსლავიას, ჩვენ, ვითვალისწინებთ რა იქ არსებული ობიექტური ეკონომიური და პოლიტიკური პირობების ანალიზსა და შეფასებას, მიგვაჩნია, რომ იუგოსლავია სოციალისტური ქვეყანაა და ვცდილობთ მასთან ურთიერთობაში მივაღწიოთ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის დაახლოებას სოციალისტურ თანამეგობრობასთან, რაც შეესაბამება მომმე პარტიების იმ ხაზს, რომ გაერთიანდნენ მთელი ანტიიმპერიალისტური ძალები მსოფლიოში. ჩვენ ვითვალისწინებთ აგრეთვე ცნობილ დადებითს ტენდენციებს, რომლებიც უკანასკნელ ხანს ვლინდება იუგოსლავიის ეკონომიურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამასთანავე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხედავს სერიოზულ უთანხმოებებს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირთან მთელ რიგ იდეოლოგიურ საკითხებში და საჭიროდ მიაჩნია პირდაპირ უთხრას ეს იუგოსლავ ამხანაგებს, გააკრიტიკოს მათი ის შეხედულებანი, რომლებიც სწორად არ მიაჩნია.

1963 წლის 9 მარტის წერილში ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გვეთანხმება, რომ ამჟამად მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ცხოვრებაში დადგა მეტად პასუხსაგები მომენტი. ჩვენზე, ჩვენს პარტიებზე, ჩვენი პოლიტიკის სისწორეზე დამოკიდებულია, კვლავაც ერთად, ერთ მწყობრში ვიგლით, თუ თავს ჩავათრევინებთ მუშათა კლასისათვის, ჩვენი ქვეყნების ხალხებისა და ყველა მშრომელისათვის მავნე ბრძოლაში, რომელსაც შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ ურთიერთდაშორება, სოციალიზმის ძალების შესუსტება, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის შერყევა.

რა თქმა უნდა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ჩინეთის კომუნისტური პარტია, როგორც დიდი და ძლიერი პარტიები, გამოვლენ ამ მდგომარეობიდან ნაკლებად დაზარალებულნი, მაგრამ სხვა მომმე პარტიებისათვის, განსაკუთრებით იმათთვის, რომლებიც მუშაობენ რთულ პირობებში, შეიქმნება დიდი და ამასთან ზედმეტი სიძნელეები, რაც, ცხადია, არ არის ჩვენი მიზანი.

ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ მოვიქცევით ამ სერიოზულ და რთულ ვითარებაში. დავადგეთ შემდგომი პოლემიკის გზას, ავყეთ ვნებათა ღელვას, გადავაქციოთ დავა ლანძღვა-გინებად, უსაფუძვლო ბრალის დადებად და გამოხდომებად მომმე პარტიების წინააღმდეგ თუ შევიგნოთ ჩვენი მაღალი პასუხისმგებლობა ჩვენი დიადი საქმის ბედისათვის და წარმმართოთ მოვლენათა განვითარება სხვა კალაპოტით, გამოვიჩინოთ გამბედაობა და დავდგეთ იმაზე მაღლა, რაც ჩვენ დღეს გვაშორებს, შევეწყვეტოთ არაამხანაგური პოლემიკა და მთელი ძალღონე მოვახმაროთ საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მებრძოლი თანამშრომლობის განმტკიცების, ყველა მომმე პარტიის მეგობრობის განმტკიცების გზების ძიებას.

ჩვენ გვესმის, რომ თუ არ არის აზრთა ბრძოლა, წარმოუდგენელია რამე მოძრაობა, მათ შორის კომუნისტური მოძრაობაც. მაგრამ ვერავითარი უთანხმოება, ამა თუ იმ პარტიის მოქმედებით გამოწვეული ვერავითარი უკმაყოფილება ვერ გაამართლებს ბრძოლის იმ ხერხებს, რომლებიც ზიანს აყენებენ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ინტერესებს. რაც უფრო ღრმად და ფართოდ გვესმის საერთაშორისო მუშათა კლასის მიზნები და ამოცანები, მით უფრო მეტი ენერგიით უნდა გვეცადოთ იმას, რომ ჩვენი უთანხმოებანი, რა სერიოზულადაც უნდა გვეჩვენებოდეს ისინი დღეს, განვიხილოთ მშვიდად და არსებითად, რათა ამ უთანხმოებებმა ხელი არ შეუშალონ ჩვენს დადებით მუშაობას, არ შეიტანონ დეზორგანიზაცია საერთაშორისო მუშათა კლასის რევოლუციურ საქმიანობაში.

მეორეს, თუ გვებრძოლნენ [illegible] მაგალითად [illegible] თანმიმდევრული განხორციელებისათვის საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, რევიზიონიზმისა და დოგმატიზმის წინააღმდეგ, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის რიგების შეკავშირებისათვის, იმისათვის, რომ პატივი ვცეთ კოლექტიურად შემუშავებულ ხაზს მისი ყოველგვარი დარღვევისა და თვითნებურა გაგების წინააღმდეგ.

ჩვენი პარტია კი არ ჰყვება პოლემიკური ბრძოლის აზარტს, არამედ შეგნებული აქვს ჩვენი საერთო პასუხისმგებლობა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის წინაშე და ესწრაფვის შეაჩეროს დისკუსიის ახალი ტურის დაწყების საშიში პროცესი. ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენც შეგვეძლო ბევრი რამე გვეთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ხაზის დასაცავად, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის საერთო კურსის დასაცავად პასუხად უსაფუძვლო თავდასხმებისა, რასაც შეიცავენ ჩინეთის პრესაში გამოქვეყნებული უკანასკნელი სტატიები. და თუ ჩვენ ამას ახლა არ ვაკეთებთ, ეს იმიტომ, რომ არ გვინდა გავახაროთ კომუნისტური მოძრაობის მტრები. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ გაგებული იქნება გამწვავებული პოლემიკის მავნეობა, ხოლო სოციალისტური სისტემისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების ინტერესები ყველაზე მაღლა იქნება დაყენებული. ამიტომ გთავაზობთ შეეხებოდეთ ერთმანეთს არა ბრძოლის გასამწვავებლად, არამედ იმისათვის, რომ მივაღწიოთ ურთიერთგაგებას უმნიშვნელოვანეს საკითხებში, რომლებიც საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში წარმოიშვა.

ჩვენ გვესმის, რომ ამ შეხვედრას მოელიან ჩვენი მეგობრები მსოფლიოს ყველა ქვეყანაში და დიდ იმედებს ამყარებენ მასზე. ჩვენზე, ჩვენს ნებისყოფასა და გონებაზე დამოკიდებულია მივაღწიოთ ჩვენი შეხვედრის ისეთ შედეგებს, რომ ამან გაახაროს ჩვენი მეგობრები და დაანაღვლიანოს კომუნიზმის მტრები. ეს იქნება ჩვენი საერთო წვლილი ყველა ჩაგრულის განთავისუფლებისათვის, ქვეყნად მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი რევოლუციური მოძღვრების გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეში.

კომუნისტური სალმით

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

1963 წლის 30 მარტი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილი გადაეცა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს

2 აპრილს საბჭოთა კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ამხ. ს. ვ. ჩერვონენკო პეკინში ეწვია ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს ამხ. ჯოუ ენ-ლაისა და ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხ. დენ სიაო-პინს და გადასცა მათ ტექსტი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამა წლის 30 მარტის წერილისა ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

პარტიული ცხოვრება

ტექნიკურ პროგრესს — პარტიული ზრუნვა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა, რომელიც უდიდესი ისტორიული მოვლენა იყო პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში, ფართო გასაქანი მისცა ტექნიკური პროგრესის მაქსიმალურ დაჩქარებას, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა ფართოდ გამოყენებას.

კომუნისტური პარტია დიდ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის მრეწველობაში საწარმოო პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, როგორც ტექნიკური პროგრესის საფუძველს, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მთავარ პირობას.

სამრეწველო საწარმოებში ტექნიკური პროგრესი ობიექტურ აუცილებლობას წარმოადგენს. ამ მხრივ ჯიათურის საწარმოებში ბევრი რამ კეთდება და ტრესტ „ჯიათურმარგანეცის“ მაღაროთა პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან მაღაროთა ტექნიკური სრულყოფისათვის, გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის განვითარებისათვის, ამასთან ითვალისწინებენ მარგანეცის მადნის დამუშავების სპეციფიკას, იმას, რომ მარგანეცის საბადოთა ქანები მკვრივი და ძნელად დასამუშავებელია.

სამამულო მანქანათმშენებლობის მძლავრი განვითარების საფუძველზე მარგანეცის მრეწველობა აღიჭურვა ახალი ტექნიკით. პირველად აქ შემოიტანეს მადნის დამმუშავებელი პნევმატური მანქანა „პმლ-5“, რომელმაც მნიშვნელოვნად გაადვილა მარგანეცის მადნის დამუშავება. მაგრამ ამ მანქანას ნაკლი ჰქონდა, იგი კუმშავ ჰაერზე მუშაობდა და მარგანეცს დატვირთვა შედარებით ძვირი ჯდებოდა. შემდეგში ტრესტ „ჯიათურმარგანეცის“ მმართველობამ შემოზიდა უფრო მძლავრი ელექტრული მანქანები „ემპ-1“, „ემპ-2“, „ემპ-4“, „ემპ-6“, რომლებიც ამჟამად მაღალნაყოფიერად მუშაობენ მაღაროებში. ამ მანქანების წარმოებაში დანერგვამ მექანიზებული გახადა მარგანეცის მადნის დატვირთვა, დიდად შეუწყო ხელი ტექნიკურ პროგრესს და შრომის ნაყოფიერების ზრდას.

ბევრი სიახლე დაინერგა გვირაბების გამაგრების საქმეში. ამჟამად მაღაროებში წარმატებით იყენებენ ბეტონის სამაგრებსა და ანკერული გამაგრების მეთოდს. ამ მეთოდის გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს ხის სამაგრი მასალის ხარჯვას.

ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა და ახალი ტექნიკისათვისებისათვის ბევრი რამ კეთდება ტრესტ „ჯიათურმარგანეცის“ ცენტრალურ ელექტრომექანიკურ სახელოსნოში. იქ წარმატებით იყენებენ აკადემიკოს პატონის ელექტროშედუღების მეთოდს „ვგ-4“ ვაგონებისა და მტვირთავი მანქანების თვლებისა და ღერძების, ელექტრომავლის გოგორწყვილების, საბაგირო გზის ვაგონების თვლების, ვენტილატორებისა და სამტვრეველების გაცვეთილი ნაწილების აღდგენის სამუშაოთა შესრულების დროს. ამ მეთოდის დანერგვაში დიდი ღვაწლი მიუძღვის სახელოსნოს მთავარ ინჟინერს დ. ხუხილეს.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში მარგანეცის ქალაქის მუშებს, ინჟინრებსა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მეცნიერ მუშაკებს შორის მტკიცე თანამშრომლობა არსებობს.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს გამამდიდრებელ ფაბრიკაში ამჟამად ხორციელდება მადნის გამდიდრების მთელი ტექნოლოგიური პროცესის კომპლექსური ავტომატიზაცია რუსთავის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტ „ავტომატმრეწვის“ მიერ დამუშავებული პროექტის მიხედვით.

მომდინარეობს მზადება ფაბრიკა ახალი დარკვეთის ავტომატიზაციისათვის.

კალინინის სახელობის მაღაროს მეხუთე უბნის № 40 შტრეკში მომდინარეობს გამოცდა რკინის ფარისებური სამაგრისა, რომელიც წარმოებაში დასანერგავად აქ გამოგზავნა ქ. კრივოი როგის სამეცნიერო-საპროექტო ინსტიტუტმა „გიპრორუდმაშმა“. ამ სამაგრის ათვისებით გაადვილდება ჭერის მართვა და წარმოება წინასწარი გაანგარიშებით 55 ათას მანეთ ეკონომიას მიიღებს. ამ სიახლის დანერგვაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი კომუნისტმა მემანქანემ პ. გფრინდაშვილმა.

ცნობილია, რომ მარგანეცის მრეწველობაში ფართოდ იყენებენ მარგანეცის საბადოს ღია წესით დამუშავებას. ამ წესით მუშაობისას დიდ სიძნელეს წარმოადგენს მარგანეცის ზედაპირული ქანების გადახსნა. ამ საბუშაოს გაადვილების მიზნით „გიპრორუდმაშმა“ შექმნა ახალი მანქანა — 250 მეტრის სიგრძის ლენტური ტრანსპორტიორი „კლ-150“. ამუამად ეს მანქანა გამოცდას გადის მაღარო დარკვეთის ღია სამუშაოებზე. პირველი შედეგები კარგია. ამ მანქანის გამოყენება გააადვილებს მარგანეცის საბადოების ღია წესით დამუშავებას, შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას და გაზრდის შრომის ნაყოფიერებას. ტრანსპორტიორ „კლ-150“-ის ათვისებაში ინჟინრებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კომუნისტმა ზეინკლებმა ზ. დარბაიძემ და ა. დევიძემ.

მიუხედავად ამ წარმატებისა, უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტები მთელი პასუხისმგებლობით არ ეკიდებიან მარგანეცის მრეწველობაში ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას. მაგალითად, კრივოი როგის საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტს „გიპრორუდმაშს“, შეპირების თანახმად, ჯერ კიდევ 1958 წელს უნდა შეექმნა საბურღი უროკებიანი ელმავალი სანგრევების სწრაფი ბურღვისათვის, მაგრამ ეს დავალება დღემდე არ არის შესრულებული. ამავე ინსტიტუტს 1961 წელს უნდა შეექმნა და მარგანეცის მრეწველობაში დაენერგა მცირე გაბარიტის სატვირთო მანქანა „მგლ-4“. ფაქტიურად ასეთი მანქანა ინსტიტუტმა მხოლოდ 1962 წლის დეკემბერში მოაწოდა ტრესტ „ჯიათურმარგანეცს“. საწარმოო გამოცდამ დაგვანახვა, რომ ეს ახალი მანქანა ბევრად სჯობს ჯიათურის მარგანეცის მრეწველობაში დღემდე გამოყენებულ ყველა მანქანას. სამწუხაროდ, დღემდე შეუძლებელი გახდა მცირეგაბარიტიანი სატვირთო მანქანების სერიული გამოშვება. ასეთი მანქანებით უზრუნველყოფილი რომ ვიყოთ, შეგვეძლება მიწისქვეშა სანგრევებზე განვახორციელოთ მექანიზებული დატვირთვა. ეს კი მძიმე შრომისაგან გაათავისუფლებს მუშებს, დიდად გაზრდის შრომის ნაყოფიერებას.

არის შემთხვევები, როცა სამეცნიერო დაწესებულებები აგვიანებენ წარმოებაში დასანერგი მანქანების გამოცდას. მაგალითად, ინსტიტუტ „გიპროუგლემაშის“ საქართველოს ჯგუფი (უფროსი გ. დეკანოზიშვილი) მეოთხე წელია აწარმოებს გვირაბის გამყვანი კომბაინის „პკ-3“-ის გამოცდას, მაგრამ დღემდე ვერ წარმოადგინა დასკვნა, ეს მანქანა შეძლებს თუ არა მუშაობას ჯიათურის მარგანეცის საბადოში.

სამეცნიერო-საკვლევმა და საპროექტო ინსტიტუტებმა უფრო მეტად უნდა გაითვალისწინონ ჯიათურის მაღაროელთა ინტერესები და დროულად შეასრულონ მათი დაკვეთები.

დიდ ყურადღებას ვაქცევთ გამომგონებლობასა და რაციონალიზაციას, რაც ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საუკეთესო პირობაა. შარშან ტრესტ „ჯიათურმარგანეცის“ მუშებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების მიერ შემოტანილი 307 რაციონალიზატორული წინადადებიდან მიღებულ იქნა 142 და წარმოებაში დაინერგა 97. აქედან მარტო 48 წინადადება წლიურად 485 ათას მანეთ ეკონომიას იძლევა.

გამომგონებლობასა და რაციონალიზაციას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდება დიმიტროვის სახელობის მაღაროს პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ალ. მეცხოვრიშვილი). რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საბჭოს სათავეში უდგას კომუნისტი გ. ჩაჩანიძე. შარშან საბჭოში შემოვიდა 66 რაციონალიზატორული წინადადება, აქედან წარმოებაში დაინერგა 22. მარტო 11 წინადადების განხორციელებით მიღებული წლიური ეკონომია 57 ათას მანეთს აღემატება. შარშან დეკემბერში მაღაროს პარტბიურომ იმსჯელა გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის საბჭოს მუშაობაზე. კომუნისტებმა ამხილეს საბჭოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი და დასახეს მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის გაძლიერებისათვის მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ აგრეთვე ვ. ი. ლენინის სახელობის, ახალი ითხვისის და რგანის მაღაროთა პარტიული ორგანიზაციები.

მნიშვნელოვანი რაციონალიზატორული წინადადების ავტორები არიან ტრესტ „ჯიათურმარგანეცის“ ელექტრომექანიკური სახელოსნოს დირექტორი კომუნისტი ვ. გეწაძე და მთავარი ინჟინერი დ. ჩიხლიძე. მათი წინადადებით მოდერნიზებულია „სიიმნსსის“ სამტვრეველა. ამან 3 პროცენტით გაზარდა პირველი ხარისხის მადნის გამოსავალი, სახელმწიფოს მისცა 132.463 მანეთი წლიური ეკონომია. საკმაოდ წინადადებათა ავტორები არიან კომუნისტები ივ. ერგემლიძე, შ. ახვლედიანი, გ. კირკიტაძე, ლ. დეკიძე, ზ. ჯაოშვილი, ს. ჯაფარიძე, გ. გფრინდაშვილი, ბ. სამხარაძე და სხვები.

რაციონალიზაციას და გამომგონებლობას სერიოზული ყურადღება ექცევა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ჯიათურის № 8 სამშენებლო ტრესტის სისტემაშიც. აქაც მაგალითის მომცემნი კომუნისტები არიან. შარშან კომუნისტების მიერ შემოტანილი 74 წინადადებიდან მშენებლობაში დანერგილია 52, რომელთა განხორციელებამ მშენებლობა 80 ათასი მანეთით გააიაფა.

სამწუხაროდ, ასე როდია ყველგან. კალინინის სახელობის მაღაროს რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საბჭოს ყურადღებიდან გამორჩა ზოგიერთი საქმიანი რაციონალიზატორული წინადადება. დღემდე დაუნერგავია მარგანეცის ამწმენდი მუშის კომუნისტ ა. ბოკორიშვილის წინადადება ორდოლიანი ჯალამბრის ერთდოლიანად გადაკეთების შესახებ, რაც აღმოფხვრიდა ჯალამბრის მუშაობისას ავარიის შემთხვევებს, ამ გარემოებით არ დაინტერესებულა მაღაროს პარტიული ორგანიზაცია.

№ 8 სამშენებლო ტრესტშიც ზოგჯერ შეუწყნარებლად აჭიანურებენ ფრად საჭირო რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვას მშენებლობაში. ამ ტრესტის ინჟინრებმა ზ. ჯანელიძემ და მ. გაფრინდაშვილმა შეიმუშავეს სართულთაშუა გადახურვის ღრუტანიანი ფილების ადგილობრივი იაფი საშენი მასალით დამზადების პროექტი,

თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეცხრე მოწვევის საქალაქო საბჭოს პირველი სესია

2 აპრილს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეცხრე მოწვევის საქალაქო საბჭოს პირველი სესია.

სესია გახსნა უხუცესმა დეპუტატმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. დ. ზურაბაშვილმა.

მშრომელთა დეპუტატების მეცხრე მოწვევის საქალაქო საბჭოს პირველი სესიის თავმჯდომარედ ირჩევენ დეპუტატ ე. ა. სალუქვაძეს, მდივნად — დეპუტატ ბ. ნ. კურტანიძეს.

საქალაქო საბჭოს სესიის განსახილველად შეტანილია შემდეგი საკითხები:

1. სამანდატო კომისიის არჩევნები და მისი ანგარიშის დამტკიცება.
2. თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შექმნა და არჩევა.
3. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებათა და სამმართველოთა შექმნა და მათი გამგეებისა და უფროსების დამტკიცება.
4. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მუდმივ კომისიათა შექმნა და არჩევნები.

სესიამ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ შ. მ. კულულაშვილის მოხსენება. მან სესიას გაუგნო არჩეული დეპუტატების რწმუნებათა შემოწმების შედეგები.

თბილისის საქალაქო საბჭოს არჩეული დეპუტატები კომუნისტებისა და უპარტიოების ურაგვი ბლოკის კანდიდატები, მუშათა, მოსამსახურეთა, ინტელიგენციის, საბჭოთა არმიის მეომრების დრესული წარმომადგენლები არიან. სულ არჩეულია 506 დეპუტატი, მათ შორის 281 საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წევრი და წევრობის კანდიდატი, 196 — ქალი, 190 — მუშა.

არჩევნებმა დაადასტურა, რომ თბილისი ინტერნაციონალური ქალაქია. არჩეულ დეპუტატთა შორის 407 ქართველია, 53 რუსი, 9 უკრაინელი, 24 სომეხი და 13 სხვა ეროვნებათა წარმომადგენელი.

ხესიამ დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება და აღნიშნა, რომ სწორია ახლად არჩეულ დეპუტატთა რწმუნებანი.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ რ. ი. ფრუნძეს. მას წინადადება შეაქვს აირჩიონ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი 21 კაცის შემადგენლობით. ამ წინადადებას ერთხმად იღებენ.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ სესიამ აირჩია ა. ე. მელაძე.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ არჩეულია დეპუტატი შ. ე. ბუხრაშვილი, მოადგილეებად — დეპუტატები ბ. ნ. გრიბალაშვილი და გ. ნ. ბოშაძე.

აღმასრულებელი კომიტეტის მდივნად არჩეულია დეპუტატი ვ. დ. ჩალაძე.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებად არჩეულნი არიან დეპუტატები: ბ. ლ. ბერიძე, ნ. ი. ბიბილეიშვილი, მ. ა. ბოგოლიუბოვი, თ. ნ. ეგაძე, ლ. დ. ლიპარტელიანი, ა. ხ. ოსეფაიშვილი, ძ. ნ. ოტიაშვილი, კ. გ. სოხაძე, ვ. კ. ფანიეში, ო. ნ. ფრუნძე, ნ. გ. შულგა, მ. ს. ჩიკვაიძე, ი. ნ. ჩხენკელი, ვ. ბ. წითლანაძე, ვ. ლ. ჭანკოტაძე, ვ. ს. ჯანჯღავა.

დეპუტატ ა. ე. მელაძის წინადადებით იქმნება თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის 11 განყოფილება და 12 სამმართველო, ამტკიცებენ მათ გამგეებსა და უფროსებს.

დეპუტატ ზ. ნ. მუჩიაშვილის წინადადებით სესიამ შექმნა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს 14 მუდმივი კომისია და დამტკიცა მათი შემადგენლობანი.

ამით მუშაობა დაამთავრა თბილისის მშრომელთა დეპუტატების მეცხრე მოწვევის საქალაქო საბჭოს პირველმა სესიამ.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობისა და მშენებლობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარე გ. ა. გეგეშიძე. (საქდესი).

ნინო ჩხეიძის დაბადების 80 და სასცენო მოღვაწეობის 65 წლისთავი

ქართული თეატრის მუზეონება



ნინო ჩხეიძე. მარტი, 1963 წ.

მეტისმეტად თავისებური ბედი აქვს აქტიორის შემოქმედებას თეატრში. თეატრის მსახიობის შემოქმედება ცოცხლობს მხოლოდ დროის იმ მონაკვეთში, ვიდრე სპექტაკლი იდგმება, და მაყურებელიც სწორედ ის არის, ვინც ამას უშუალოდ ისმენს, უყურებს.

ცოცხალი სიტყვის, აქტიორის ზემოქმედების ძალით მაყურებელთა დარბაზი ხან იცინის, ხან ცრემლს ღვრის, ხან რომელიმე გმირის საქციელით აღტაცებულია, ხან რაღაც აშფოთებს. სცენის ცოცხალი სიტყვის ეს ჯადოსნური ძალა ძირითადად აქტიორით, მისი უნარით, შესაძლებლობებითა და ოსტატობით არის განპირობებული. ამიტომ მაყურებელიც აქტიოროთან ერთად ცხოვრობს ავტორის შემოთავაზებულ სცენურ ცხოვრებაში; აქტიორის შემოქმედება ხდება მაყურებლის თვალწინ, რომელიც თავის კუთვნილ „საზღაურს“ იქვე, მსწრაფლ იბრუნებს — ეს არის თეატრალური ხელოვნების თავისებურება და ამავე დროს უპირატესობაც.

აქტიორის შემოქმედებას ერთი შეხედვით თითქოს მხოლოდ მისი თანამედროვეები უნდა იცნობდნენ, მაგრამ მსახიობთა შორის არიან ისეთები, რომლებიც თავიანთი ზეგარდმო ნიჭის წყალობით ქმნიან წარუშლელ სცენურ სახეებს, მაყურებელზე ანდგენენ თილისმურ ზემოქმედებას და ამიტომ ასეთ შემოქმედთა სახელები თაობიდან თაობებში გადადის.

სწორედ ასეთია ქართული სცენის უხუცესი მსახიობი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნინო (ნუცა) ჩხეიძე, რომლის ბრწყინვალე ნიჭის ელვარება და ოსტატობა და მსახიობის მაღალი პროფესიული კულტურა ამშვენებს ქართულ თეატრს და ქმნის მისი ისტორიის გარკვეულ ხანას. ნ. ჩხეიძის უანგარო ღვაწლი, მსახიობის ღვთიური ცეცხლი და უდიდესი მოკალაქეობრივი თაობიდან თაობას ლეგენდასავით გადაეცემა, როგორც ერის სულიერი კულტურის მსახურის მისაბაძი მაგალითი.

ნინო ჩხეიძეს არ მიუღია სპეციალური თეატრალური განათლება, აიც ბავშვობიდანვე ჰქონია გასხაკუთრებული მიდრეკილება და სიყვარული სცენისა, აიც მშობლების მალულად, ქურდულად მიიპარებოდა ხოლმე თეატრში.

მამამისი იურისტი პლატონ ჩხეიძე იყო ქუთაისის მოწინავე ინტელიგენტი, ლიტერატურისა და ხელოვნების დიდი მოყვარული. ამიტომ თავის მეუღლეს ევგენია ქორაშვილს ასულსა და თავის უფროს ქალიშვილს მაშოს არასოდეს არ ეუბნებოდა უარს წარმოდგენებში მონაწილეობაზე.

ეს ის პერიოდი იყო, როცა ქართულ სცენას ამშვენებდა ისეთ შესანიშნავ ხელოვანთა სახელები, როგორიც იყვნენ მაკო საფაროვი, ნატო გაბუნია, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ვალერიან გუნია.

12 წლის ნინო, თავისი უფროსი დის მაშოს მოულოდნელი ავადმყოფობის გამო, სცენაზე აიყვანეს და ეს გამოსვლა გახდა მისი მომავლისათვის გადამწყვეტი. პატარა ნინოსათვის დაკისრებული როლების შესრულებას ყოველთვის ეტყობოდა დაკვირვება და საქმის სიყვარული.

ეფემია შესხი იგონებს: „შთაბეჭდილებიანი ბავშვი იყო, თუ სცენაზე რაიმე სასაცილო ხდებოდა, ნუცა გულით ხარხარებდა და თუ სცენიდან დრამა ისმოდა, მისი დიდრონი ლამაზი თვალები ცრემლებით ივსებოდა“.

კოტე მესხისა და ლადო მესხიშვილის უშუალო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით აიდგა ფეხი ნ. ჩხეიძემ ქუთაისის თეატრის სცენაზე, და შემდეგ აღარ ჩამოშორებია ქართულ სცენას. ქუთაისი, დებიუტი დედაქალაქის თეატრში, მოგზაურობა პროვინციებში, კვლავ მშობლიური ქუთაისი, წარმოდგენები ბაქოში, ისევ ქუთაისი, კოტე მარჯანიშვილთან „სახკიმრეწვი“, და, ბოლოს, რუსთაველის თეატრი — ასეთია ნ. ჩხეიძის შემოქმედებით განვლილი გზა, რომლის მანძილზე იგი ფაქიზად და მთელი არსებით ემსახურებოდა თავის საყვარელ საქმეს — თეატრს; თეატრი იყო წმიდათაწმიდა და ხიხო კი მისი ერთგული მსახური.

ნინო ჩხეიძის ღვაწლი ქართულ სცენაზე მარტო იმით კი არ განისაზღვრება, რომ მას შეესრულებია 300-მდე როლი, რომელთა შორის უმრავლესობა მთავარ გმირებს წარმოადგენენ, არამედ ძირითადად იმით, რომ მისი აქტიორული ინდივიდუალობა, შესრულების მანერა ხასიათდება სცენური ცხოვრებისა და ხასიათების გადმოცემის საოცრად ცოცხალი უნარით. ნ. ჩხეიძე განსაკუთრებული ოსტატობით გადმოგვცემდა ტრაგიზმს, ზნეობრივი სიფაქიზეს, ოთაც მაყურებელთა დარბაზში ამეფებდა ინტიმს, სცენასა და მაყურებელს შორის ამამდა იმ უხილავ ძაფს, ოომლისთვისაც არის მოწოდებული თეატრი.

თავისი სამსახიობო მონაცემებით ნ. ჩხეიძე დიდი ტრაგიკული მსახიობია, რომელსაც სავსებით სამართლიანად ადარებენ რუსული სცენის ისეთ დიდოსტატებს, როგორებიც იყვნენ მ. ერმოლოვა, ვ. კომისარჟევსკაია; მაგრამ იგი კომედიებშიც გასაოცარ წარმატებებს აღწევდა.

მის შემოქმედებაში საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს ქართულ ეროვნულ რეპერტუარს და საშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ქალთა სახეებს. ნ. ჩხეიძე ერთ-ერთი საუკეთესო შემსრულებელია ზეინაბისა (სუმბათაშვილის „ღალატი“) და ქეთევანისა (დ. ერისთავის „სამშობლო“).

ცნობილია, რომ ზეინაბს წარმოსახავდნენ ხოლმე როგორც მტრის მიერ დაბეჭვებულ, სამშობლოსათვის დატანჯულ დედოფალს, რომელსაც შეეძლო მაყურებელში გამოეწვია თანაგრძნობა და სიბრალული. ნ. ჩხეიძემ კი პირველმა გაიაზრა ზეინაბი როგორც გმირული სულის მატარებელი, მზრუნველი, ძოძაგე და მებრძოლი. ამიტომ იყო, რომ მისი ზეინაბი მაყურებელში მტრისადმი რისხვას იწვევდა და ბრძოლის სურვილს ბადებდა.

სრულიად საწინააღმდეგო სახე იყო მისი ქეთევანი („სამშობლო“). ნ. ჩხეიძის მიერ განსახიერებული ქეთევანის სახეში წარწყმარწეული იყო გმირის პირადი სურვილები და ეგოიზმი, რომლის წყალობითაც იგი მოოლატე ხდება, სახის ასეთი გახსნა ხელს უწყობდა სპექტაკლის სწორ იდეურ ეფექტებს.

ნინო ჩხეიძე. „მარგარიტა გოტიე“ (ეროვნული ბიბლიოთეკა).

ნ. ჩხეიძის აქტიორული მომზიბველობისა და მიმხიდველობის განმაპირობებელი ელემენტი ცხოვენ ტემპერამენტსა და პოტენციასთან ერთად მისი ხავერდოვანი ტემბრი და განსაცვიფრებელი ფერებით მოსილი მუსიკალური ხმა, რომელიც ყოველთვის ისეთივე სახიერი და მდიდარი იყო, როგორც მის მიერ განსახიერებული გმირი, — მუდამ ახალი და მუდამ ნაცნობი.

ნინოს ბევრი თეატრალური სეზონი აქვს გატარებული კოტე მარჯანიშვილთან, მიხეილ ქორელთან, პიოელ ქართველ ქალ რეჟისორთან ნინო გამრეკელთან — თოოლთან, ალექსანდრე იმედაშვილთან, მალვა დადიანთან და სხვებთან. იგი მონაწილეობდა კინოფილმებში: „საკანი № 79“, „არსენა“, „დრიკო“ და სხვ., რაც საშუალებას გვაძლევს უშუალოდ გავეცნოთ ნ. ჩხეიძის აქტიორულ შემოქმედებას.

ეს პატარა, ნ. ჩხეიძის შემოქმედების დახასიათებისათვის უმნიშვნელო წერილი მინდა დავამთავრო ეფემია შესხის 1919 წელს ნათქვამი სიტყვებით: „მინდა ახალგაზრდებმა მისდიოთ ნუცას მაგალითს, მინდა ბევრი გამოუჩნდეს ჩვენს სამშობლო სცენას ნუცასთანა სამაგალითო მშრომელნი; მინდა შეიყვარონ სასცენო ხელოვნება ისე, როგორც ნუცას უყვარდა და უყვარს დღესაც, დაივიწყონ პირადი ინგარიშები, დაივიწყონ თავი ისე, როგორც ნუცამ“.

მ. გოგოლაშვილი.

დღეს თბილისის ზაჰარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება ქართული სცენის გამოჩენილი მოღვაწის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ნინო (ნუცა) ჩხეიძის დაბადების 80 და სასცენო მოღვაწეობის 65 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი თენგიზ გუაჩიძე. მოხსენებას ნინო ჩხეიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე წაიკითხავს აკადემიკოსი გიორგი ახვლედიანი. მოგონებითა და სიტყვებით გამოვლენ მსახიობები, თეატრმცოდნეები, მწერლები.

მსახიობის დიდი გზა

ჟუთაისი სამართლიანად ითვლება უაღრესად თეატრალურ ქალაქად. არა ერთი და ორი სასიქადულო ფურცელი ჩაწერა ქუთაისმა ქართული კულტურისა და თეატრის მატიანეში. აქ მოღვაწეობდნენ ჩვენი სცენის თითქმის ყველა მნათობნი: ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, ვალერიან გუნია, კოტე მარჯანიშვილი, შალვა დადიანი, ალექსანდრე იმედაშვილი, გიორგი ონმნელი, იუზა ზარდალიშვილი, ნინო დავითაშვილი და ქართული სცენის მრავალი სხვა საამაყო მოღვაწენი.

სცენის ამ ირინოზთა ჯგუფს ეკუთვნოდა ჩვენი სცენის ჯადოქარი ნინო ჩხეიძე. განა შეიძლება, თუკი ოდესმე მოგისმენია, დაივიწყო ადამიანმა ნინო ჩხეიძის ნაზი და ძლიერი, გულშიჩამწვდომი, მოდულაციებით მდიდარი, ხავერდოვანი, თბილი ხმა?! ანდა მისი გარეგნობა, მოძრაობა, ეუტი, უაღრესად ეთილშობილური და კდემამოსილი, ფაქიზი და დახვეწილი, — და ყოველივე ეს შეხმატკბილი მის მიერ ხორცშესხმულ სცენიურ სახეთასან..

ნინო ჩხეიძე — ზეინაბი... მედიდურობით აღსავსე და ამავე დროს ღრმად ტრაგიკული, მთელი ხალხის ეროვნული ტანჯვის გამომხატველი; ამაყი და დამოუკიდებელი ხელოვანი — ქალი მაგდა ზუდერმანის პიესაში „მშობლიურ ჭერქვეშ!“... მას ბუოფნის ძალა წინაალდგეს საუკუნეებით დაწესებულ არისტოკრატიულ ტრადიციებს, „მაღალი საზოგადოების“ ყალბსა და თვალთმაქცურ მორალს, დაიცვას ქალისა და ხელოვნის ადამიანური უფლებები...

ჩემდა საბედნიეროდ, მე საშუალება მომეცა სხვადასხვა დროს მეხილა მთელი გალერია ნინო ჩხეიძის მიერ შექმნილი უკვდავი სახეებისა. მედეა! — რა ტრაგიკული ბედის ადამიანი დაგვიხატა ამ დიდმა მსახიობმა, განწირული, მაგრამ სულით ამაყი... გვჯერიდა, რომ ეს არის ნამდვილი დედა და სწორედ დედობრივი გრძნობა მიიყვანს მას საბედისწერო გადაწყვეტილებამდე შვილების მიმართ...

მარგარიტა გოტიე... ცხოვრების წუმპეში ჩაფრენილმა მან მაინც შეძლო მაღალი სულის უნარჩუნება; როგორი ნაზი, წრფელი და გულმართალია მისი სიყვარული, როგორი კეთილშობილური თავგანწირვით თმობდა იგი თავის ბედნიერებას.. ნინო — ქეთევანი „სამშობლოში“... მან არ იცის გრძნობა სამშობლოს ჭეშმარიტი სიყვარულისა, მოვალეობა ხალხისადმი; ის ბრმად ემორჩილება თავის გულისთქმას, ვნებას, სხვებსაც ღუპავს, და თავსაც იღუპავს, — ასეთია ნინო ჩხეიძე ამ როლში.

დაუვიწყარია ნინო ჩხეიძე — ოიკასტე სოფოკლეს ტრაგედია „ოიდიპოს მეფეში“. ოიდიპოსის ცხოვრების ცა ჩაიქუფრა, ბნელი ღრუბლებით დაიფარა. მოახლოებული კატასტროფის წინათგრძნობამ პირველად ოიკასტე მოიცვა. მსხვერპლის შეწირვის დროს ოიკასტე — ნინო ჩხეიძე წარმოგვიდგა მწუხარე, განაწამები სახით: პატარა ვაჟის სასიკვდილოდ განწირვა, ქმრის მკვლელობა, შემდეგ თითქოს კვლავ მოპოვებული სიმშვიდე ოიდიპოსთან შეუღლებაში! — მაგრამ ვაი თუ ეს სიმშვიდე მოჩვენებითი და წარმავალი აღმოჩნდეს! როდესაც შეიკრა ჯადოსნური რკალი და ოიდიპოსის გამოძიებამ საშინელი სინამდვილე ცხადყო, — მსახიობის ტრაგიკულმა პათოსმა მწვერვალს მიაღწია: რა გამოხედვა ჰქონდა ნინოს ოიკასტეს, როგორი სინაზითა და მწუხარებით შესცქეროდა ოიდიპოსს, მერე ხალხს მიმოავლო თვალი, არ უუვირია, ოხერის მსგავსი კვნესა აღმობდა, შეერხა მთელი სხეული, ზეცისაკენ აწეული ხელები ულონოდ მოუსხლტა... ის აქ მოკვდა უკვე, ჩვენს წინ, სცენაზე და, თითქოს თავის შვილზე ადრე დაბრმავებულმა, გაოგნებული მზერით მიაშურა თავის სამყოფელს, რათა საბოლოოდ იქ გაეწყვიტა ცხოვრების ძაფი...

...ნინო ჩხეიძე ზესტაფონში საგასტროლოდ ჩამოვიდა ჩვენი ჭაბუკობის წლებში. იგი ეკალაძის პიესაში „№ 21 ჯვრით“ იგი ასახავდა ლიზას — მაღალი წრის, მაგრამ რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალულ ქალს, რომელიც შურისძიების მიზნით შემოვიდა მტრის ოჯახში, ხელს უწყობდა შენიღებულად მოსულ რევოლუციონერს. შეთქმულება დამარცხდა, ლიზას აპატიმრებენ...

და აი იქ მოხდა ჩვენი პირველი შეხვედრა ნუცასთან სცენაზე. მე და უშანგი ჩხეიძეს წილად ვგზავდა უსიტყვოდ „გოროდოვოების“ როლის შესრულება, ჩვენ უნდა შეგვეპყრო ლიზა — ნინო ჩხეიძე. როგორ ვდელავდით, როგორ განვიცდიდით ამ როლს!.. გვამხნევებდა ნინო ჩხეიძე. მაგრამ ჩვენ მაინც ვერ გავუბედეთ მას ხელის ხლება. სცენაზე გულმოსულმა, კულისებში ბევრი იცინა ჩვენს საქციელზე...

და კიდევ რომელი ერთი ნინო ჩხეიძის მიერ განსახიერებული როლი უნდა ჩამოვთვალო!

ნინო ჩხეიძე მთელი თავისი შემოქმედებით ქადაგებდა მაღალ ზნეობას, სიხეტაკეს, ოჯახის სიმტკიცეს, ქალის მაღალ დანიშნულებას საზოგადოებაში და ოჯახში, მის მაღალ ზნეობრიობას, ხალხის სამსახურს, და ყველა ეს ფენომენები, უპირველეს ყოვლისა, ახასიათებდა და ახასიათებს მას როგორც ადამიანსა და მოქალაქეს.

ნინო ჩხეიძის ცხოვრებისა და შემოქმედების გზა სამაგალითოა თავისი სიხეტაკითა და უმწიკვლობით. ასეთს ვხედავთ ჩვენს მხეოვანს, ღვაწლმოსილ დიდ მსახიობს... მის ტრადიციებზე აღზარდა ჩვენი სცენის მოღვაწეთა მეელი თაობა, მისი ცხოვრება და შემოქმედება მისაბაძი ნიმუშია ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდობისათვის.

დოდო ანთაძე,
რესპუბლიკის სახალხო არტისტი, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე.

• • •

სურათზე: ნ. ჩხეიძე მედეას როლში (ევრიპიდეს „მედეა“).

განიარაღების კომიტეტში

ჟენევა, 1 აპრილი. (საკდესი). 18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის პლენარული სხდომა დღეს მიეძღვნა ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხის განხილვას. თავმჯდომარეობდა კ-ნი მიურდალი (შვეიცარია). დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს პოლონეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, ინგლისის, იტალიისა და ბულგარეთის დელეგატებმა.

პოლონეთის წარმომადგენელმა მ. ბლიუშტაინმა თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ დასავლეთის სახელმწიფოები თავიანთ უარყოფით პოზიციას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხში საფუძვლად უდებენ არა ბეჭნიერულ-ტექნიკურ მოსაზრებებს, არამედ წმინდა პოლიტიკურ მოტივებს შეთანხმების გამოცდის შეწყვეტის შესახებ სწრაფად დავდებთ მხოლოდ მაშინ, თუ უარს ვიტყვით ასეთ პოზიციაზე. პოლონეთის დელეგატმა მოუწოდა დასავლეთის სახელმწიფოებს კონსტრუქციულად მიუდგნენ განსახილველ პრობლემას.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჩ. სტელმა ჩამოაყალიბა ინგლის-ამერიკის ეგრეთ წოდებული ერთობლივი მემორანდუმი დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციის შესახებ ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხში. ამ მემორანდუმში „ახალი არა არის რა, გარდა იმ მოთხოვნისა, რომ განხორციელდეს „ზეიი ადგილობრივი ინსპექცია მაინც“.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ს. კ. ცარაპკინმა, რომელმაც მოაგონა კომიტეტს, რომ საბჭოთა მთავრობა წავიდა დიდ პოლიტიკურ დათმობაზე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის მიმართ და დათანხმდა განხორციელდეს წელიწადში 2-3 ინსპექცია ატომური სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

ს. კ. ცარაპკინი შეეხო ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ძირითად პრობლემათა ფაქტიურ მდგომარეობას და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოლაპარაკებაში მიღწეულია პოზიციათა დიდი დაახლოება. ჩვენი წარმომაზეა იმისა გამო, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოითხოვეს ინსპექციათა რაოდენობის გაზრდა.

საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ჩამოთვალა მიწისქვეშა ატომური აფეთქებისადმი კონტროლის სისტემები, რომელთა გამოყენება შეიძლება, თუ მიღწეულ იქნება შეთანხმება გამოცდის შეწყვეტის შესახებ. მთელი ეს ღონისძიებანი, ხაზგასმით აღნიშნა ცარაპკინმა, საკმარისზე მეტია პირველი ნაბიჯისათვის, როგორიც არის შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ. საბჭოთა კავშირის წარმომადგენელმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ უსაფუძვლოა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიციები. მან იმედი გამოთქვა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში აღმოჩნდებიან საკმაოდ შორსმჭვრეტელი ადამიანები, რომლებიც შეძლებენ უზრუნველყონ ის, რომ მიღწეულ იქნეს ამეამად ესოდენ მახლობელი შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ.

რ. ი. მალინოვსკი ინდონეზიაში

ჯაკარტა, 2 აპრილი. (საკდესი). ქალაქ მადიუნის ათეულ ათასობით მცხოვრები გამოვიდა დღეს ქუჩებში, რათა მისალმებოდა საპატრიოტ სტუდენტს, საბჭოთა კავშირის მარშალს რ. ი. მალინოვსკის, რომელიც იქ ჩავიდა. მთელ ოც კილომეტრიან გზაზე — ეროდრომიდან ქალაქამდე — ჩამწკრივებული იყვნენ მადიუნისა და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი. „ეკითხეთ იყოს თქვენი ჩამოსვლა, ეროშალო როდიონ მალინოვსკი!“, „გაუმარჯოს ინდონეზია-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!“, „თავისუფლება! მშვიდობა!“—ასობით ასეთი პლაკატი ეკიდა ქუჩებში და გზებზე; ეპირატ დამხვდურთ.

საბჭოთა კავშირის მარშალმა რ. ი. მალინოვსკიმ, რომელიც ინდონეზიაში მოგზაურობს, გუშინ დაათვალიერა ძველი ინდუსური ტაძარი ბორობოდური, რომელიც ჯოკიკარტის მახლობლად მდებარეობს. შემდეგ მარშალი, და მისი თანმხლები პირები ეწვივნენ ეროვნულ სამხედრო აკადემიას ქ. მაგელანგში.

ტელეგრაფი გვატყობინებს

◆ **იუგოსლავიაში** სამი დღის ოფიციალური ვიზიტის შემდეგ მექსიკის პრეზიდენტი ლოპეს მატეოსი ბელგრადიდან გაემგზავრა და 1 აპრილს ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა ვარშავაში.

◆ **მონღოლეთის** სახალხო რესპუბლიკისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობებმა გადაწყვიტეს დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა თავიანთ ქვეყნებს შორის.

◆ **სამხრეთ** აფრიკის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ჯიმ ფუმმა განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო ქარხნები გაადიდებენ თავიანთ მწარმოებლობას და გამოუშვებენ ორჯერ მეტ შეიარაღებას, ვიდრე წინათ. ფუმის გამოსვლიდან ჩანს, რომ რასისტები იარაღდებიან იმიტომ, რომ ეშინიათ მკვიდრი აფრიკელი მოსახლეობის გამოსვლისა და იარაღის ძალით ცდილობენ დაიცვან თეთრკანიანთა უმცირესობის ხელისუფლება ამ ქვეყანაში.

◆ **ლუანდა** (პორტუგალიის კოლონია ანგოლის დედაქალაქი, აფრიკა) თავს დაატყდა ისეთი ტროპიკული კოკისპირული წვიმა და ძლიერი ქარი, როგორიც არ ახსოვთ ქალაქის ძველ მცხოვრებთ. ქალაქის ნაწილი დაიტბორა. აფრიკელთა ათობით სახლი დაინგრა. დაზიანდა დაახლოებით ასი მსუბუქი ავტომობილი, ავტობუსი და სხვ. ქალაქს აღარ აქვს ელექტროენერგია და წყალი. მიყენებული ზარალი შეფასებულია 5 მილიარდ აფრიკულ ფრანკად.

◆ **1 აპრილს** მთელი დღის განმავლობაში რომში დაიბურა კინოთეატრები, რომელთა მფლობელებმა გადაწყვიტეს ასე გამოხატონ პროტესტი ბილეთების გაყიდვის დიდი გადასახადების წინააღმდეგ. (საკდესი).

ანგარიში გათანაბრდა



ქომუნისტი

მოსკოვი, 2 აპრილი. (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მართლაც რომ თანაგრძნობის ღირსნი არიან ჭადრაკის გულშემატკივრები. გადადებული პარტიების დამთავრების დღეს მთ ადრე უხდებათ ადგილის დაკავება საბჭოთა კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დარბაზში, სადაც ცოტა მაყურებელი ეტევა. მაგრამ ყველაზე უარესი ისაა, რომ ზოგჯერ მეტოქენი თამაშის განუახლებლად შეთანხმდებიან ხოლმე და „ტანჯულ“ მაყურებელს შინ წასვლა უხდება. ასეთი საშიშროება იყო ამჯერადაც, რადგან ბევრი მოელოდა ბოტვინიკის დანებებას თამაშის განუახლებლად. ამიტომ, როდესაც ბოტვინიკი დარბაზში გამოჩნდა, მაყურებლები ერთბაშად გამოცოცხლდნენ.

პარტია მხოლოდ 8 სვლაში დამთავრდა. კონვერტის გახსნისას გამოირკვა, რომ პრეტენდენტმა ჩაიწერა უძლიერესი სვლა მეფით. შავების ძალები მთელ დაფაზე იყო დაჭასქსული, ამიტომ პეტროსიანი არ ჩქარობდა მატერიალური უპირატესობის მოპოვებას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც თეთრების ყველა ფიგურა საუკეთესო უჯრებზე იქნა გადაყვანილი, პეტროსიანი დაერია მეტოქის სუსტ პაიკებს. 48-ე სვლაზე ბოტვინიკმა შეწყვიტა წინააღმდეგობა და პირველი გამარჯვება მიულოცა პრეტენდენტს.

ამგვარად ანგარიში გათანაბრდა — 2,5:2,5.

შეხვედრის დამთავრების შემდეგ პეტროსიანი შემოვიდა პრესბიუროში, სადაც მონაწილეობა მიიღო თავისი პარტიის გარჩევაში. მას ხელში ეკავა თერმოსი ყავით. ეს პრეტენდენტმა ბოტვინიკისაგან გადაიღო, რომელსაც პარტიის დროს აუცილებლად აქვს თერმოსი. პეტროსიანს აქაც არ სურს ჩამორჩეს ბოტვინიკს — მას მეთოდებს ეუფლება და იზიარებს.

რა შეიძლება ითქვას შეხვედრების შედეგზე? მატჩი მხოლოდ ახლა იწყება. როდესაც წინ 19 პარტიაა, უხერხულიც კია რაიმე პროგნოზის გაკეთება.

ხვალ ესტრადის თეატრის შენობაში გაიმართება მორიგი მეექვსე პარტია.

შეჯაქებანი სირიის ქუჩებში

ნიუ-იორკი, 1 აპრილი. (საკდესი). ღღეს სირიის მთელ ტერიტორიაზე შეპოიღეს კომენდანტის საათი, იუწყება დამასკოს რადიო.

ოუშცა სირიის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებაში აღნიშნული არ არის კომენდანტის საათის შემოღების მიზეზი, იუწყება იუნაიტედ პრეს ინტერნაციონალის საგაზეთო, ზოგიერთ ცნობაში ნათქვამი იყო, რომ სირიის ქუჩებში ერთმანეთს შეეჯაქნენ ნასერის მომხრეები, რომლებიც მოითხოვენ სირიისა და ეგიპტის გაერთიანებას, და წაცონალიტური პარტია ბაასის მომხრეები.

დამასკო, 2 აპრილი. (საკდესი). თანახმად ბრძანებისა, ღამეულიც გუშინ გამოსცა სირიის რესპუბლიკის სამხედრო გუბერნატორის მოადგილემ, სირიის მთელ ტერიტორიაზე აკრძალულია დემონსტრაციები და დათანხმდა განხორციელდეს წელიწადში 2-3 ინსპექცია ატომური სახელმწიფოების ტერიტორიაზე.

ტელეგრაფი გვატყობინებს

◆ **იუგოსლავიაში** სამი დღის ოფიციალური ვიზიტის შემდეგ მექსიკის პრეზიდენტი ლოპეს მატეოსი ბელგრადიდან გაემგზავრა და 1 აპრილს ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა ვარშავაში.

◆ **მონღოლეთის** სახალხო რესპუბლიკისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მთავრობებმა გადაწყვიტეს დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა თავიანთ ქვეყნებს შორის.

◆ **სამხრეთ** აფრიკის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ჯიმ ფუმმა განაცხადა, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სამხედრო ქარხნები გაადიდებენ თავიანთ მწარმოებლობას და გამოუშვებენ ორჯერ მეტ შეიარაღებას, ვიდრე წინათ. ფუმის გამოსვლიდან ჩანს, რომ რასისტები იარაღდებიან იმიტომ, რომ ეშინიათ მკვიდრი აფრიკელი მოსახლეობის გამოსვლისა და იარაღის ძალით ცდილობენ დაიცვან თეთრკანიანთა უმცირესობის ხელისუფლება ამ ქვეყანაში.

◆ **ლუანდა** (პორტუგალიის კოლონია ანგოლის დედაქალაქი, აფრიკა) თავს დაატყდა ისეთი ტროპიკული კო